

ს. შაუხჩიშვილი

# პიორები ამატოლის

სრონოგრაფის ქართული თარგმანი

ნაწილი II

ბ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა



ცფილიზას უნივერსიტეტის გამომცემი

ტფილისი 1926.

დაიბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით (1925 წ.  
VIII.27 და X.1 ოქმები № № 45, 50)

რ ე კ ტ ო რ ი: ივ. ჯავახიშვილი.

ბეჭდვა დასრულდა 1926 წლის თებერვლის 5-ს.

ჩემს ძმას და მეგობარს  
მ. ნ. შაუხჩიშვილს  
სიყვარულითა და გულგონით

## შ ი ნ ა ა რ ს ი .

VORWORT . . . . .	5-7
შემოკლებათა წუსება . . . . .	8
შესავალი (§§ 1-3) . . . . .	9-16

§ 1 გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა (9); § 2 ჩვენი განოკლებვის მიზანი და ფარგლები (10); § 3 დამატებითი შენიშვნები ქართული ტექსტის გამოცემის შესახებ (11).

ხრონოგრაფის ბერძნული დედნისა და ქართული თარგმანის შედარება (§§ 4-24) . . . . .	17-54
--	-------

### a) ბერძნული დედანი, (§ 4).

§ 4 ხრონოგრაფის ბერძნული დედნის ხელითწერილი ტრადიცია (17).

### b) ქართული თარგმანი (§§ 5-8).

§ 5 ქართული ხელნაწერები (19); § 6 ქართული ძეგლის ბერძნულით თარგმნილობა (19); § 7 ქართული თარგმანი და კუალენის 310 და მასთანა ხელნაწერები (22); § 8 ქართული თარგმანის ტექსტუალური გამოყენების საკითხი (24).

### c) ქართული თარგმანის თავისებურებანი (§§ 9-13).

§ 9 წინადადების თავისუფალი გაგება (25); § 10 წინადადების შემოკლება (25); § 11 ადგილშენაცვლება წინადადებაში (26); § 12 მხოლოობითისა და მრავლობითი რიცხვის ხმარება (28); § 13 პლურაზმები (28).

### d) ქართული ტექსტის შეცთომები (§ 14).

### e) ქართული ტექსტის შემოკლებული ადგილები (§§ 15-19).

§ 15 საღმრთო წერილისა და ღმთისმეტყველთა ციტატების შემოკლება (31); § 16 შემოკლებული ნაკეთების წარმოშობის საკითხი (36); § 17 საკუთრივ გიორგი ამარტოლის სიტყვების შემოკლება (37); § 18 ტექსტში შეტანილი სხოლიოები (38); § 19 კიდურმსგავსებით გამოწვეული ნაკლულევანებანი (39).

**ი) ქართული თარგმანის ტექსტუალური სხვაობანი (§§ 20-24).**

§ 20 საკითხი განსხვავებული ქვერედაქციის შესახებ (40); § 21 საკითხი დანარჩენ ტექსტუალურ სხვაობათა შესახებ (44); § 22 ქართულში გამოტოვებული ადგილები (45); § 23 ქართულში ზედმეტი ადგილები (46); § 24 ქართული ტექსტის სხვაობანი, ბერძნულის ვარიანტებით გამარწმუნებელი (51). — დასკვნა (54).

**ლექსები**

§ 25 დამატებათა საკითხი (57).

**I ბერძნული სიტყვების გადმოცემა (§§ 26-34) . . . . . 57-82**

§ 26 ნასესხი და უცხო სიტყვების გადმოცემის საკითხი (59); § 27 ხრონოგრაფის ქართულ თარგმანში დაცული ბერძნული სიტყვები (60); § 28 ბერძნული მინაწერები (65); § 29 ბერძნული სიტყვების ქართულად გადმოცემის ფონეტიკურ-მორფოლოგიური განხილვისათვის (66). ფონეტიკა: § 30 ხმოვნები (67); § 31 თანხმოვნები (72); § 32 შორფოლოგია (73); § 33 ხმოვნით დაბოლოებული ძირები (75); § 34 თანხმოვნიანი ძირები (81).

**II ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა (§§ 35-40) . . . . . 83-97**

§ 35 საკუთარი სახელების გადმოცემის საკითხი (83); მამაკაცთა სახელები: § 36 მამაკაცთა სახელების სხვადასხვანაირი მორფოლოგიური სახე (84); § 37 მამაკაცთა სახელების ეოკატიური ფორმით გადმოცემის საკითხი (87); § 38 -ე და -ი ბოლოკიდურნიანი სახელები (89); § 39 -უაიანი სახელები (95); § 40 -ა ბოლოკიდურნიანი სახელები (96). — დასკვნა (97).

**საკიებლები**

ავტორთა საკიებელი . . . . .	98
სიტყვათა საკიებელი . . . . .	99

## V o r w o r t.

Der Zweck unserer Untersuchung war, die georgische Übersetzung der Chronik von Georgius Hamartolus mit dem griechischen Original zu vergleichen und dieselbe für die textkritischen Studien der Chronik zu verwerten.

Die georgische Übersetzung unserer Chronik („ბრონოლრაფი გიორგი მონაზონისაჲ“ = die Chronik des Mönches Georgius), die von uns vor 5 Jahren herausgegeben worden ist (S. Kauchcšvili, Georgii Monachi chronicon: Monumenta Georgica, III. Historici № 1, Publicationes Universitatis Tphilisensis. Tiflis 1920. P. XXVII+329), wurde von einem gewissen Arsenius Ende 11. oder Anfang 12. Jahrhunderts verfertigt und ist zu uns in drei Handschriften des Museums der Tifliser Staatsuniversität №№ 174, 685a u. 165 gekommen, die eigentlich ein und dieselbe Redaction darstellen. Die älteste von ihnen reicht bis zum 13. Jahrhundert zurück, was durch die paläographischen Eigenschaften der Handschrift bestätigt wird.

Zum grossen Bedauern, ist die georgische Übersetzung unvollständig erhalten: sie gibt uns nur einen Teil der Chronik von Georgius Hamartolus, nämlich bis zur Regierung von Theodosius dem Grossen (bis zur S. 587,8 ἀλλωθ der de Boor'schen Ausgabe). Abgesehen davon gibt unsere Übersetzung in ihrem erhaltenen Teile ein reiches Material für die Textkritik der Chronik, indem sie einerseits die lectiones variae einiger der ältesten griechischen Handschriften der Chronik rechtfertigt und andererseits eine ganze Menge solcher Abweichungen von den zu uns gekommenen griechischen Handschriften aufweist, welche uns erlauben, eine noch nicht bekannte Bearbeitung des griechischen Originals zu rekonstruieren. Diese letzte soll ein Zweig der Klasse Coislinianus 310 etc. gewesen sein, und sie wird besonders dadurch charakterisiert, dass in ihr die theologischen Digressionen allzusehr verkürzt werden.

Hier, in einer kurzen Zusammenfassung, ist nicht der Platz, die Abweichungen der georgischen Übersetzung der Chronik von Georgius Hamartolus in allen Details zu verzeichnen, besonders da wir in nächster Zukunft darüber eine ausführliche Untersuchung in deutscher Sprache zu veröffentlichen beabsichtigen. Daher begnügen wir uns an dieser Stelle mit der folgenden kurzen Übergabe des Ergebnisses der von uns unternommenen Vergleichung der georgischen Übersetzung mit dem griechischen Text.

1. Der georgische Text ist unmittelbar aus dem Griechischen übersetzt, und zwar nach derjenigen Redaction der griechischen Chronik, die in den Coislinianus 310 und dergleichen überliefert ist.

2. Die mannigfaltigen Abweichungen der georgischen Übersetzung sind verschieden zu erklären:

a) es gibt Abweichungen, welche durch die stilistischen Eigentümlichkeiten unseres Übersetzers und die Übersetzungsmethoden der damaligen Gelehrtenkreise verursacht sind;

b) viele Abweichungen lassen sich dadurch erklären, dass der Übersetzer und die Abschreiber unserer Übersetzung einige Fehler begangen haben, weil sie entweder unvollständige, fehlerhafte Unterlagen bei der Hand hatten oder unaufmerksam ihrem Original folgten; ausserdem

c) sind noch viele Fehler aufzuzeichnen, welche die einigermaßen mangelhafte Kenntnisse unseres Übersetzers im Griechischen verursacht haben;

d) besonders wichtig sind solche Abweichungen, welche keinen Zweifel zurücklassen, dass sie von der griechischen Unterlage herkommen; das sind nämlich die im Vergleich mit dem uns bekannten griechischen Text überflüssigen Stellen, welche in dem von Carl de Boor edierten Texte und dort angeführten Varianten keine Rechtfertigung finden.

3. Die zuletzt erwähnten Abweichungen sollen eine neue, bis jetzt nicht bekannte Bearbeitung der Redaction der Coislinian'schen Gruppe gehören.

4. Diese Bearbeitung wird charakterisiert durch

a) die Verkürzung der theologischen Digressionen (sowohl der Heiligen Schrift, als auch selbst der dem Verfasser der Chronik und den heiligen Vätern gehörigen);

b) die abweichenden Aufschriften einiger Stellen der Chronik und

c) die Erweiterungen einiger Stellen der Chronik.

5. Diese Bearbeitung des griechischen Textes soll d. X. oder der ersten Hälfte d. XI. Jahrhunderts angehört haben.

Das sind die Schlüsse, zu denen wir während unserer Untersuchung gekommen sind.

Es mag hier noch erwähnt werden, dass am Ende unserer Untersuchung drei Listen hinzugefügt sind. Die eine (SS. 45—47) enthält diejenigen Stellen, die sich im georgischen Texte als ausgelassen aufweisen; in der zweiten Liste (SS. 48—50) sind die im Georgischen überflüssigen Stellen angeführt, welche sich im griechischen Texte nicht befinden: unter diesen Stellen sind viele, die von der oben erwähnten Bearbeitung der griechischen Chronik herkommen sollen. Zuletzt (SS. 51—54) sind diejenigen Abweichungen der

georgischen Übersetzung aufgezeichnet, die in einzelnen Varianten der griechischen Codices ihre Rechtfertigung finden.

Es folgen weiter zwei Anhänge, von denen der eine die griechischen Lehn- und Fremdwörter im Georgischen behandelt, der zweite aber die griechischen Eigennamen (hauptsächlich—Männernamen) im Georgischen.

Tiflis

Der Verfasser.

Am 3. Februar 1926



## შემოკლებითა ნუსხა.

- ⴗⴗⴗⴗⴗⴗⴗⴗ**=Leonis Allatii de Georgiis, et eorum scriptis, diatribe: *Scriptores Historiae byzantinae t. XI. Venetiis 1729.*
- Boisacq**=Dictionnaire étymologique de la langue grecque, par Émile Boisacq. Heidelberg-Paris 1916.
- C. de Boor**=Georgii monachi chronicon, edidit Carolus de Boor. Vol. I textum genuinum usque ad Vespasiani imperium continens. I. XXXIII+382 p. Vol. II textum genuinum inde a Vespasiani imperio continens p. p. 383-804. 1904 Lipsiae.
- Brockelmann**=Die griechischen Fremdwörter im Armenischen von C. Brockelmann: *ZDMG 47 Bd. (1893).*
- Brugmann**=Griechische Grammatik, von Dr. Karl Brugmann. 4. A. bearbeitet von Dr. Albert Thumb. München 1913.
- BZ**=Byzantinische Zeitschrift.
- Dieterich**=Untersuchungen zur Geschichte der griechischen Sprache von der hellenistischen Zeit bis zum 10. Jahrh. n. Chr. von Karl Dieterich. Lpz. 1896.
- Du Cange**=Glossarium ad scriptores mediae et infimae graecitatis, auctore Carolo de Fresne Domino Du Cange. Lugduni 1688.
- Hatzidakis**=Einleitung in die neugriechische Grammatik von G. N. Hatzidakis. Lpz. 1892.
- Hirsch**=Byzantinische Studien von Ferdinand Hirsch, Lpz. 1876.
- Hirt**=Handbuch der griechischen Laut- und Formenlehre von Dr. Hermann Hirt. 2. A. Heidelberg 1912.
- JF**=Indogermanische Forschungen.
- Истрин В. М.** Хроника Георгия Амартола в древнем славянорусском переводе. Текст исследование и словарь. Том I: Текст, Петроград 1920. Том II: а) Греческий текст „Продолжения Амартола“; б) Исследование, Пгрд. 1922.
- Krumbacher**=Geschichte der byzantinischen Literatur, von Karl Krumbacher 2. A. München 1897.
- Muralt**=Georgii Monachi, dicti Hamartoli, Chronicon ab orbe condito ad annum p. Chr. n. 842 et a diversis scriptoribus usque ab a. 1143 continuatum nunc primum ...edidit E. de Muralto. Petropoli 1859.
- Psalle**=Grammatik der Byzantinischen Chroniken von Stamatios B. Psalles. Göttingen 1913.
- Suidas**=Suidae Lexicon ex recognitione Immanuelis Bekkeri, Berolini, A. 1854.
- Thumb**=Die griechischen Lehnwörter im Armenischen. Beiträge zur Geschichte der *Հայկ* und des Mittelgriechischen von Albert Thumb: *BZ IX (1900).*
- Фасмер**=Греко-славянские Этимологии. II. Греческие заимствования в старославянском языке: *Известия вост. русскою яз. и сл. ПАН XII, 2. СПб 1907.*
- Vollers**=Beiträge zur Kenntniss der lebenden arabischen Sprache in Aegypten von Karl Vollers: *ZDMG 50 Bd.*
- ZDMG**=Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი .

§ 1. გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი ს ხ რ ო ნ ო გ რ ა ფ ი ს შესწავლა ამავე დროს ბი-  
ზანტიური ეამთაღმწერლობის შესწავლას უდრის. ის გარემოება, რომ მას რა-  
მდენიმე რედაქცია გაუჩნდა და ამ რედაქციების ოცდა შვიდი ხელნაწერია დღე  
მდე მოღწეული, და აგრეთვე ისიც, რომ მისი სლავური თარგმანიც რამოდენიმე  
რედაქციით არის დაცული, ამისი საუკეთესო დამამტკიცებელია. და სწორედ  
ამ გარემოებით აიხსნება, რომ გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი ს ხ რ ო ნ ო გ რ ა ფ ი ს შეს-  
წავლა ესოდენ არის გაძნელებული. მართალია, კ ა რ ლ დ ე ბ ო ო რ ი ს წყალობით  
ამ მხრივ დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული და ჩვენ, გარდა საღ საფუძველზე ავე-  
ბული განოცემისა, ხელნაწერების შედარებით ზედმიწევნითი კლასიფიკაცია მო-  
გვეპოვება, მაგრამ ჯერ-ჯერობით, საკითხი პირვანდელი ტექსტის დადგენისა და  
ამა თუ იმ რეცენზიის ავტორკუთვნილობისა გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩა-  
ითვალოს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველ ახალ მასალას.  
რომელსაც რამდენადმე შეუძლია ამა თუ იმ ხასიათის ტექსტუალური მო-  
წმობანი მოგვეცეს. ჩვენც სწორედ ამ თვალსაზრისით გვსურს მიუდგეთ გ ი ო რ გ ი  
ა მ ა რ ტ ო ლ ი ს ქართულ თარგმანს. სახელდობრ, თარგმანის ხასიათის გამო-  
კვეის შემდეგ, უნდა დადგენილ იქნეს ის ტექსტუალური თავისებურებანი, რო-  
მელიც ბერძნულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი და, მაშასადამე, ბერძნუ-  
ლი ტექსტის და მისი ხელნაწერების ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვა-  
ნი აღმოჩნდება.

ჩვენ აქ სწორედ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართულ თარგმანს მხოლოდ  
ტექსტუალური, წმინდა ფილოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, და ის  
სამსახურს გაუწევს მხოლოდ ბერძნული ტექსტის ისტორიის შესწავლას. თვით  
ბერძნული ტექსტის ღირებულება ისტორიული შინაარსის მხრივ მეტად შეზღუ-  
დულია. გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი ს ხ ო მ აფასებდენ ამ მხრივ იმდენად, რამდენადაც  
ის თავისი ხრონოგრაფის უკანასკნელ ნაწილში ბიზანტიის ისტორიის უძველეს  
წყაროს წარმოადგენდა 9. საუკუნისათვის, და პირველი დიდი ნაწყვეტი ამ ხრო-  
ნოგრაფიდან, რომელიც პარიზის კორპუსში დაიბეჭდა (LUSŋ წელს), სწორედ უკა-  
ნასკნელ ეპოხას შეიცავს, ლეონ IV-ის მეფობიდან მოყოლებული, მაგრამ ამ ნა-  
წილის შესწავლიდანაც გამოირკვა, რომ მას ისტორიკოსი მკვლევარი ვერ ენ-  
დობა: ის ისტორიულ მოთხრობას კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო მიყერ-  
ძობულ მსჯელობას თანატკიოს ხატის-მებრძოლისა (შდ. Hirsch 17).

თუ გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი ს წმინდა ისტორიული მნიშვნელობა ასე შე-  
ზღუდულია, სამაგიეროდ განუსაზღვრელია მისი ისტორიულ-ლიტერატურული  
მნიშვნელობა. ამისთვის ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ ორი ისეთი შრომის გა-

მოსვლა, როგორც არის Anton Glas, Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia—die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins, Leipzig-Berlin 1914, და В. М. Истрин, Хроника Георгия Амартола. Том II. Петроград 1922, რომელთაგან პირველში გიორგი ამართოლი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს გელასი კესარიელის საეკლესიო ისტორიის აქამდე უცნობი ტექსტის ფრაგმენტების დადგენისათვის, ხოლო მეორეში ზედმიწევნით არის გამორკვეული უდიდესი მნიშვნელობა გიორგი ამართოლისა სლავიანთა ეპითაღმწერლების შესწავლისათვის. თვით ბიზანტიელ ისტორიკოსებსა და ეპითაღმწერლებზე რომ გიორგი ამართოლის გავლენა დიდი იყო, ამას ხომ მისი ხრონოგრაფის ხელითწერილი გარდმოცემა ამტკიცებს: ხრონოგრაფის არსებული რეცენზიები და განსხვავებული რედაქციები. ამ უკანასკნელმა გარემოებამ სანწუხაროდ დიდად გააძნელა ხრონოგრაფის ტექსტის დადგენა. და ეს სიძნელე მით უფრო საგრძნობია, რომ არსებულ უძველეს ხელნაწერთაგან ერთი 10. საუკუნისაა და ერთიც 11. საუკუნის, დანარჩენები-კი შემდგომ საუკუნეებს ეკუთვნიან. და თავის-თავად ცხადია, რომ 11. საუკუნისა თუ 12. საუკუნის პირველი ათეულის ქართულ თარგმანს (შდ. პროფ. კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 2112) უალრესი მნიშვნელობა ენიჭება ხრონოგრაფის ხელითწერილი ტრადიციის დადგენისათვის.

§ 2. ზემო აღნიშნულით უკვე განისაზღვრება ჩვენი გამოკვლევის მიზანი და ისახება ის ფარგლები, რომელშიაც ის უნდა სწარმოებდეს. სახელდობრ: უნდა დადგინდეს იქმნეს, თუ რომელ ბერძნულ რედაქციას იცავს ქართული თარგმანი და ხელნაწერთა რომელ ჯგუფს ეკუთვნის მისი დედანი. თვით ქართული თარგმანი იმდენად უნდა იქნეს შეფასებული, რომ შესაძლებელი გახდეს შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ ის ბერძნული დედანი, რომელიც ხელთ უნდა ჰქონოდა ქართველ მთარგმნელს. ამისათვის-კი საჭიროა ზედმიწევნით შესწავლილ იქნეს მთარგმნელის ინდივიდუალური თვისებები და ამ გზით გამოირკვეს, თუ იმ განსხვავებულებათაგან, რომელსაც იჩენს ქართული თარგმანი ბერძნულთან შედარებით, რა უნდა მიეწეროს მთარგმნელის ხელსა და მის თავისუფალ აზროვნებას და რა უნდა წარმოადგენდეს ბერძნული დედნის კუთვნილებას. ეს გახლავთ ის ფარგლები, რომელშიაც იწარმოებს ჩვენი გამოკვლევა, და ის მიზანი წმინდა ფილოლოგიური, რომელსაც ჩვენ ვისახავთ. და ჩვენი წინამდებარე გამოკვლევის საგანს არ შეადგენს ისტორიულ-ლიტერატურული კითხვები ქართული თარგმანისა. ჩვენ არ დავმალავთ, რომ ეს საკითხები, განსაკუთრებით ორი—მთარგმნელის ვინაობისა და გიორგი ამართოლის გავლენისა ქართველ ეპითაღმწერლებზე—ჩვენ გვკონდა შეტანილი ჩვენი გამოკვლევის თავდაპირველ გეგმაში. მაგრამ მუშაობის მსვლელობაში ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ამ საკითხების გარკვევისათვის უფრო მეტი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები და მომზადება საჭირო, ვიდრე ჩვენ ამ ეპოქა მოგვეპოება. მაგრამ ერთი-კი უნდა აღინიშნოს: თავის თავად ცხადია, რომ ჩვენი ზემოაღნიშნული გეგმის შესრულება იმთავითვე უპერსპექტივო იქნება, რომ ჩვენ პასუხი არ გავსცეთ კითხვას, თუ

რა დროს არის ქართული თარგმანი შესრულებული? ამაზე ჩვენ გაკვრით გვაქვს მოხსენებული გამოცემის შესავალში (გვ. IX), რომ „თარგმანის ენა და მისი მეთოდები ჩვენ გავარწმუნებს იმაში, რომ საქმე გვაქვს მეთერთმეტე საუკუნის ძეგლთან“ (ამასვე ადასტურებს პროფ. კორნ. ქეკელიძე, I, 292). იქვე აღნიშნულია, რომ ხრონოგრაფის ქართული თარგმანის უძველესი ხელნაწერი 13. საუკუნეს ეკუთვნის. ხოლო, როგორც ეს ქვევით თავის ალაგას გარკვეული იქნება, ეს ხელნაწერი არ წარმოადგენს პირვანდელს სახეს ქართული თარგმანისა: მას გამოუვლია რამდენიმე გადაწერის ხელი და განუცდია სხვადასხვა ცვლილებანი (განსაკუთრებით კიდურმსგავსებით გამოწვეული შეცთომები), და აქედან ცხადია, რომ ქართული თარგმანი 13. საუკუნეზე უფრო ადრე უნდა იყოს შესრულებული. გარდა ამისა ბერძნული მინაწერები და გლოსები, რომელიც ჩვენს ძეგლში მოიპოვება, აუცილებელს ხდის ამ ძეგლის მიუთვნებას ათონის შემდგომ პერიოდისათვის და, მაშასადამე, წიგნის ანდერძში (გამოცემის გვ. 129) მოხსენებული არსენი უნდა იყოს ერთ-ერთი იმ არსენთაგანი, რომლებიც მოღვაწეობდნენ 11. საუკუნის გასულსა და 12. საუკუნის დამდეგს (იხ. ქ. ქეკელიძე I, 287).

§ 3. აქვე საპიროდ ვთვლით ორიოდ შენიშვნა დაუბრთოთ ქართული ტექსტის გამოცემის შესახებ. ტექსტის დამუშავებას ჩვენ შევუდექით 1919 წლის გაზაფხულს და შემდეგი წლის ზაფხულს უკვე დაბეჭდეთ. მისი დამუშავებისა და გამოცემის დროს ჩვენს ხელთ იყო მხოლოდ ბერძნული ტექსტი (დე ბოორის და მურალტის გამოცემები). ტექსტის დაბეჭდვის შემდეგ ჩვენ საშუალება მოგვეცა შედლებისა გვარად შეგვესწავლა სათანადო ლიტერატურა ჩვენი ხრონოგრაფის ბერძნული ტექსტის შესახებ და თვით ქართული თარგმანიც, რასაკვირველია, უფრო ზედმიწევნით იქმნა შედარებული ბერძნულ ტექსტთან. ამით ჩვენ საშუალება მოგვეცა ზოგიერთი დამატებითი ემენდაცია მოგვეხდინა ქართული ტექსტისა, გარდა ამისა ქართული ტექსტი ჩვენ ხელმოკრედ შევადარეთ ჯერ ჩვენ მიერ გადმოწერილ დედანს და შემდეგ თვით ხელნაწერებს და დავრწმუნდით, რომ სტამბისათვის დამზადებულ ტექსტში ჩვენ ზოგიერთი ადგილი გამოგვრჩენია და ორიოდ შემთხვევაში ქარაგმებიც უმართებულოდ დავკიხსნია. ასე რომ მრავალ კორექტურულ შეცთომას ჩვენი საკუთარი შეცთომებიც ზედ დაერთო. ამიტომ ჩვენ აქვე ვათავსებთ: ა) დამატებით ემენდაციას და ბ) შეცთომების გასწორებას<sup>1</sup>:

1) ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულებით უმართებულოდ გვაქვს გამოცემულ ტექსტში ხანდახან ისეთი ფორმები აღდგენილი, რომელიც ძეგლის ეპოხისთვის დადასტურებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ეს ეხება ორ ფორმას: ათსამეტ, რომლის ნაცვლად ხელნაწერში მუდამ «ათცამეტ» გვხვდება და მუნქუესევე, რომელიც ყოველთვის «მუნთქუესევე» ფორმით არის წარმოდგენილი. საკითხი კარის ნაცვლად ხანის აღდგენისა გულისხმად — დან წარმოებულ სიტყვებში ჯერჯერობით საგანგებო გამოკლევას მოითხოვს: რაც შეეხება უპ კომპლექსის საკითხს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოცემის შესავალში (გვ. XXIV) საკმაო მაგალითია მოყვანილი, რომ 13. საუკუნის გადაწერის მართალია მარტვის თავისი საუკუნის ადსის და უპ-საწერს, მაგრამ მისი ადრინდელი დედანი (სადაც უე ეწერა) უნებლიედ გაელენას ახდენს მასზე და ჩვენ აქა-იქ უე-თი დაწერილი ფორმებიც გვხვდება.

ა) დამატებითი ემენდაცია.

3,21	სპარსთამან	სპარსთაგან
20,23	დაკტროჯთ	და [ვა]კტროჯთ
26,22	ყოველთავე სახეთა	ყოველითავე სახითა
27,26	[.....]	[არამედ]
31,32	[.....]	[პლატონ შემდგომად ამისა განსწავლულ იყო]
34,29	მცირათა	მცირეთა
47,23	რომელი	რომელნი
49,29	ათშვდმეტ	ათ [წელ და მოკუდა ცხორებული ყოველი]ურთ ას ოცდა ათ[შვდმეტ
71,19	რათა მოსრას	რათა არა მოსრას
78,11	უფროჲს	უროჲ
128,21	მეცნიერიან	მეცნიერ [არ]იან
141,11	და ვსტასპჳან	და[რიოს] ვსტასპჳან
145,25	ზედა და	ზედა
196,16	ღმრთიე-მოვლონილობაჲ	ღმრთიე-მოვლენილობაჲ
196,20	წინაჲსწარმეტყუელისა-ებრ	წინაჲსწარმეტყუელ[ებ]ისა-ებრ
204,19	მოსწყუედს	[არა] მოსწყუედს
210,12	რჳათა	ჳართა
212,1	ჳამისამან	ჳამისაჲ
240,15	სხოლარიორთაჲსა	სხოლარიონთაჲსა
252,6	გარდარეულითა	გარდარეულთა
259,14	მომასწაეებელ	მომასწაეებელ[თა]
296,31	განმძლავრებულმან	განმძლავრებული
307,5	მივლინებული	მივლინებულნი

ბ) დამატებითი შესწორებანი გამოცემულ ტექსტში.

არის	უნდა იყოს	
9,25	მუფობაჲ	ნეფობაჲ
17,25	ღროსცა	ღრო სცა
23,17	მძლავრებისა	ანუ მძლავრებისა
26,18	იხილვებიან და»	იხილვებიან» და
28,14	მკურვალე	მკურვალე
28,6—13	not. ღ ი	ო ი ღ ი
29,5	რამეთე	რამეთეუ
29,22	შესცდებოდეს	შესცთებოდეს
30,18	ჳირველივე	ყოველივე
30,25	ბრძოლ	მბრძოლ
31,3:	მეგვპტელთა	მეგვპტელთა

32,4	და პარვასა	და მთრვალობასა დიონჯსოს და პარვასა
39,17	not. ტისპარესინ	ტისპარესეოს A ტისპარესე B
42,4	პირიტყვ	პირუტყვ
42,26	ცხოვნდა	ცხოვნდა
43,25	თავად-სიმართლისა	თავად სიმართლისა
44,10	სახელდებულსა	სახელდებულსა
44,19	ხელისა	სახელისა
44,34	რამერუ	რამეთუ
45,26	დასიპოხისაგან	და სიპოხისაგან
45,32	იყოს ოდესცა,	იყოს, ოდესცა
48,25	ღმრთის	ღმრთისა
49,5	მათ-თანად	მათ თანად
50,28,30	გზისა	ბზისა
67,10	წარმმართთა	წარმართთა
68,11	აბიბელექ	აბიბელექ
70,7	ძელეებითა	მელეებითა
72,23	რათა	რომელთა
75,11	ჩუენისასა	ჩენისასა
77,17	მეგვტურისა	მეგვტურისა
78,4	იყენენ მახვლითა,	იყენენ, მახვლითა
78,25	not. ლეილი, v. 10	ლეილი v. 26.
83,30	გიცნა	გიცნი
84,28	კეთილად	კულად
87,6	დამოჰკიდა	დამოჰკიდა
87,8	გარდამფორინავალეთა	გარდამფორინავალეთა
89,8	მკვდრნი	მკვდრნი
91,7	მკურნალმე სიბრძნეთა	მკურნალმესიბრძნეთა
93,32	დაჰმოწმა	დაჰმოწმა ღმერთმან
95,32	მოიყვავებს	მოიყვანებს
96,17	და ცალიერებითა	დაცალიერებითა
97,10	მრავალთა-მრავალი	მრავალთა მრავალი
97,20	ოცდაათა	ოცდაათთა
98,2	ღირსა-თანა	პირსა-თანა
102	not. 28 წარწყმიდა	27 წარწყმიდნა
107,2	შე ყო	შეაყო
108,7	წარმმართთანი	წარმართთანი
109,7	ხოლომე ორედ	ხოლო მეორედ
109,27	მცნობელი	მცნობელი
115,22	წანაჲსწარმეტყუელნი	წინაჲსწარმეტყუელი
115,27	გან-ვინმე-ფიცნეს	გან-ვინმე-ფიცნეს
117,18	მთასა ზედა ვიდრე-მე	მთასა ვიდრე-მე
117,31	იაკობის ზედა	იოაკიმის ზედა

118,15	დადებაჲ	და დედაჲ
119,17	ა საბს	აქიაბს (not. BC აქაბს)
121,19	სამშეას	სამეას (not. სამშეას C)
123,19	მოტყინარემან	მოტყინარემან
123,29	მეფემან	მეუფემან (not. მეფემან BC)
126,8	ნავისა	ნიავისა
126,34	პირისამ იმართ	პირისა მიმართ
132,17	ბილტასარ	ბალტასარ
132,19	მამამან	მამამან მისმან
132,29	ვისიცა, ენებოს	ვისიცა ენებოს
133,4	არამედ ორლანოდ	არამედ ვითარცა ორლანოდ
133,5	მოსაწვენლად	მოსაწვენლად
135,1	კამვისოჲს-თჳს	კამვისოჲს-თჳს
135,15	სიკუდილსა და აქადუედა	და სიკუდილსა აქადებდა
135,31	მიერიდგან	მიერითგან
136,11	რომლისა-ზე ზორობაბელ და ისოსედეკისმან	რომლისა-ზე კულად ზორობაბელ იისო სედეკისმან
136,15	ჴრიათა	ჴურიათა
136,29	ალშენებაჲ და იერუსალჴმისაჲ	და ალშენებაჲ იერუსალჴმისაჲ
140,20	ქეშმარიტად უკუე	ქეშმარიტად უკუნისამდე
141,23	დიონჳსიოჲსა	დიონჳსიოჲსა (not. დიონჳსიოჲსა C)
143,8	სამკაულითა	სამკაულთა
143,11	მან	მას
143,14	ვიეთცა და	ვიეთცადა
143,29	სიმენისა	მაგალითად სიმენისა
144,3	კორცთაგან მწდელნი	კორცთა განმწდელნი
146,33	ჴუროდსი	ჴეროდსი
147,13	სახელი	სახელად
147,20	ყოველთად	ყოველთად
148,26	საყოფელობითა	საყოფელებითა
148,33	მადიემელნი	მადიამელნი
149,9	შეფჳკას, საჴურველნი	შეფჳკას საჴურველნი
150,7	წინაჲსწარმეტყუელმან წინაჲს- წარმეტყუელმან	წინაჲსწარმეტყუელმან
151,18	მშჳდელუნი სამეოცდოორ	შჳდელუნი სამეოც და ორ
152,15	უცმათ	უც მათ
153,12	ვიეთმე	ვიეთმე
153,20	ვისწავლოთ	ვისწავოთ
153,27	იერუსალჴმელმან	იერუსალჴმელმან
159,5	აღგომაჲ	აღდგომაჲ
159,6	აღგომასა	აღდგომასა
159,8	აღგომისა	აღდგომისა

159,17	საცხორებელიხა	საცხორებელისა
160,8	კორგანა	კორბანა
160,16	დათრგუნეილნი	დათრგუნეილნი
166,10	დაბნებად	დაშნებად
169,19	ქონეთაგან	ქონებათაგან
170,6	კორცთა-თვს	კორცთა-თვს
170,27	თარგმანებისა	თარგმანებასა
170,27	საეკლესიოსა შინა	საეკლესიოსა მოთხრობასა შინა
171,27	ვერ მიიხუამსვე	ვერ მიიხუამს გარნა მიიხუამსვე
172,14	ტრფილთა	ტრფილთა
174,16	და	და-
179,2	არსცა	არს ცაჲ
179,27	ორნივე შეეოწლნეს	ორნივე შეეუღლნეს
181,12	სწავლითა შინა	სწავლითათა შინა
181,28	განჩინებულისა	განჩინებულისა
183,16	გაკლებულნი	დაკლებულნი
185,16	გამომაჩინებელ	გამომაჩინებელ
186,24	მათსა წარმართთა	მათსა და წარმართთა
187,17	მიმოთესლსა	მიმოთესლსა
187,29	სახელისათა	სახლისათა
188,4	პეტრეს	პეტრეს
189,10	ზეპურობიძა	ზეპურობისა
190,29	ტიმოთეს	ტიმოთეს
194,24	დამდარნი	დამდნარნი
194,30	სახელი	სახლი
199,13	დაიკსენინ	და იკსენინ
199,18	დააბრძნა	დააბრძნა
199,34	სამეოცდაათა წელიწადთა	სამეოცდაათა წელიწადთა
200,30	იერუსალიმისაჲ	იერუსალიმისაჲ
200,34	წინაჲსწარმეტყულებისაჲთა	წინაჲსწარმეტყულებისაჲთა
202,32	მე მერჩდა	მე არა მერჩდა
203,23	წყვილთაგან	წყვლთაგან
203,24	ყოველთაგანი	ყოველთაგან
205,28	ნუ უკუე დაშთაა არა სადა?	ნუ უკუე დაშთაა? არა სადა
207,28	გაქცევისა-თვს	დაქცევისა-თვს
207,1	მხემ	მსხემ
222,4	მიმდები	მიმდემი
218,11	სახლი	სახელი
219,14	იყენეს, მსხუერპლთა	იყენეს მსხუერპლთა,
220,25	ვაცთაჲსა, არა მნებაჲს	ვაცთაჲსა არა მნებაჲს,
220,26	თქუნთა დათრგუნვად ეზოჲსა ჩემისა?	თქუნთა? დათრგუნვად ეზოჲსა ჩემისა



221,9	და აცხვრნა	დააცხვრნა
224,30	ხუთათას	ხუთათას ხუთას
226,32	კბოჯსაგან	კმობისაგან
228,11	ღმრთისადათა	ცეცხლისადათა
231,7	დაწუვათა	და წუვათა
236,19	თანა-მეცნიერთა	თანა მეცნიერთა
238,18	ღმრთისასა	ღმრთისასა
242,29	აღჰკოცა	აღჰკოცდა
245,11	მანენტოსისი	მანენტოსისი
251,25	დამკსელნი	დამკსნელნი
254,10	მიჩუნე	მიჩუნენე
257,20	ვლდებოდინ	ვლდებოდის
259,17	ისრაელჰმსა	ისრაელსა
259,20	ისრაელჰმისათასა	ისრაელისათასა
261,18	ლიკინიზ	ლიკინიოზ
267,3	ვიტონ	ვიტონ
277,24	განაკითხვის	განიკითხვის
280,11	მამაჯსა და კერძოჯსა	მამაჯსა, კერძოჯსა
283,17	შემწიკულნა	შემწიკულნა
285,9	რომელიცა	რომელიცა
286,28	ცნობა ვენებულისა	ცნობავენებულისა
290,35	თუ ვინაჲ სახელ იდების	თუ ვინაჲ დაწყებულ იქმნა და ვინაჲ სა- ხელ იდების
292,26	მან	მან
292,28	დამცხრობელი	დამცხრობელი
293,17	ღელეს	ღელესა
295,26	მძლავრისა	მძლავრისა
296,8	მძლავრსა	მძლავრსა
298,9	მსგავსა	მსგავსი
298,21	ღმრთის-მსახურებითა	ღმრთის-მსახურებითა და სიბრძნითა
301,3	იყოდა	იყო და
301,33	ლოცვაჲ	ლოცვაჲ
305,10	მკლველობილნი	მკლველობითნი
307,15	განცხვრებულთა და ელენთა	განცხვრებულთა ელენთა
307,32	ნიქისა	ნიქსა
308,33	ვითარ	არა ვითარ
309,7	ჰამბავისა	ჰამბავისა

## ხრონოგრაფის ბერძნული დედნისა და ქართული თარგმანის შედარება.

### II) ბერძნული დედანი.

§ 4. გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი წარმოადგენს მსოფლიო ქრონიკას, რომელიც ქვეყნის გაჩენით იწყება და მიხეილ III და მისი დედის თეოდორას მეფობამდე (842 წლამდე) აღწევს. მართალია, არსებულ ხელნაწერ-საგან ბერძნული დედნისა უმეტესი შეიცავს შემდეგდროინდელ ამბებსაც, მაგრამ ჯერ კიდევ ლ. ალლაციუსმა შენიშნა, რომ საკუთრივ გიორგის ხრონოგრაფი 842 წლით თავდებოდა. და დღეს ამასი ექვი არავის ეპარქა (Murali, Georgii Monachi, dicti Hamartoli Chronicon VII: Hirsch, Byz. Studien 2; Krumbacher, Byz. Litter.-Geschichte 352); ამასვე ამტკიცებს თვით გიორგის სიტყვები ხრონოგრაფის წინასიტყვაობაში, უკანასკნელი წიგნი შეიცავს ისტორიას კოსტანტინე დიდიდან ვიდრე უკანასკნელ კეისრამდე, თეოფილეს ძე მიხეილამდე. ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ ავტორს თავისი შრომა 842—867 წლებში უნდა დაეწერა, როდესაც მეფობდა მიხეილ III; ეს თარიღი უფრო ხელმძღვანელთა არის განსაზღვრული, სახელდობრ შრომა დანთავრებულია 866—867 წელს, კეისრის გარდაცვალების წინა ხანებში (Hirsch ო, Krumbacher 352). გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფს მრავალი გამგრძელებელი და ინტერპოლატორი აღმოუჩნდა. ასე რომ ხელნაწერებში განიჩრევა—დე ბოორის კლასიფიკაციით (იხ. მისი გამოცემის Praefatio) —ორი მთავარი ჯგუფი: 1) ხელნაწერები, რომლებიც მხოლოდ გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფს შეიცავენ, ე. ი. ამბებს 842 წლამდე, და 2) ხელნაწერები, რომლებიც განაგრძობენ მოთხრობას 948 წლამდე და ხანდახან შექმნილიც. ეს ორი ჯგუფი ხელნაწერებისა მარტო იმით როდი განიჩრევა ერთმანეთისაგან, რომ მეორეს დამატებული აქვს ხრონოგრაფის გაგრძელება. ეს განსხვავება იმაშიაც გამოიხატება. რომ. მაგ., პირველი ჯგუფი, რომელიც წარმოადგენილია სხვათა შორის სამი მთავარი ხელნაწერით—Coislinianus 310 (A) X საუკუნისა, Coislinianus 134 (C) XII საუკ. და Coislinianus 305 (P) X-XI საუკ.—ზოგიერთ ადგილას უფრო დაწვრილებით მოკვეთხრობს ამბებს; ვიდრე მეორე ჯგუფი. ჰიროში (გვ. 14-15) იმ დასკვნამდე მიდის, რომ AC ხელნაწერები (P-ს ის სრულებით არ იხსენიებს) შეიცავენ ნამდვილ ტექსტს გიორგის ხრონოგრაფისა. დე ბოორი უფრო დაწვრილებით იხილავს ამ საკითხს და AC ხელნაწერებში დაცულ ტექსტს

პირიდან აღიარებს და თავის გამოცენასაც მათ უდებს საფუძვლად. ის მხოლოდ პირვანდელი რედაქციის ხელნაწერებიდან ცალკე გამოჰყოფს P ხელნაწერს. რომელსაც ის დამოუკიდებელ რეცენზიად აღიარებს, რომელიც თვით გიორგის ეკუთვნის (Praefatio p. LXVIII). მისი აზრით P's დედანში გიორგიმ მიაწერა აზიებზე შენიშვნები, განსაკუთრებით საღმრთო წერილიდან დაუთრთო შენიშვნები, ვითარცა მონაზონმა: P's გადამწერმა-კი ყველა ეს აზიზე მოთავსებული შენიშვნა ტექსტში შეიტანა და ამის შედეგი იყო. რომ საეკლესიო მწერლების ადგილები და სხვა წიგნების ციტატები ერთმანეთში აირია. თვითონ გიორგიმ მოისურვა ექსცერპტების ნედლი მასალა (rudem excerpturum molem) დაემუშაებინა, და ხელმოკრედ გამოსცა ხრონოგრაფი. და ამ გადამუშავებული წიგნიდან მომდინარეობს დანარჩენი ხელნაწერები (იხ. Praefatio LXIX და შესტაკოვის რეცენზია Виз. Вр. XII (1906) 431 შმდ.), რომელთაგან პირველი ადგილი უჭირავს AC ხელნაწერებს.

კუალენის ხელნაწერი 310 (A) პერგამენტისაა და 10. საუკუნეს ეკუთვნის. მასში ორი დიდი ხარვეზია. რომელიც უდრის დე ბოროის მიერ გამოცემული ტექსტის 184,3-211,28 და (64);.5-659.20 გვერდებს. წიგნს არა აქვს წინასიტყვაობა: მაშინ დაიკარგა ის, როდესაც კოდექსი შეუკვრელი იდგა, თუ ეს მას არასდროს არ ჰქონია. არა ჩანს, რადგან რვეულები დანუმრული არ ყოფილა. და ის თვლა რვეულებისა, რომელიც ეხლა არის, ეკუთვნის უკვე იმ დროს, როდესაც ზემოაღნიშნული ხარვეზები იყო კოდექსში. ტექსტს სათაური არა აქვს, მაგრამ ცალიერად არის დატოვებული სამი სტრიქონის ადგილი, სადაც ის უნდა ყოფილიყო: გადამწერს-კი ის არ დაუწერია. სხვა ძველი ხელით მთავრული ასოებით დაწერილია ზევით *Αρχη, ουκ ηξει, ηξ; ηξεναιουξ*. ახალი ხელით კი სწერია: *ηξεναιουξ ηξεναιουξ ηξεναιουξ*. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკე სათაურად A ხმარობს *ηξεναιουξ* (და არა *ηξεναιουξ ηξεναιουξ* - ნ.), როგორც ეს ზოგიერთებს აქვს (Praef. XIII---XVI).

ამ კოდექსთან ახლო დგას—მაგრამ განსხვავებაც ემჩნევა -- ხელნაწერები D (ესკურიალის 14 1) 11. საუკუნისა, შემდეგ C (კუალენის 134) 12. საუკუნისა ტყავზე დაწერილი (რომელშიაც სხვათა შორის წინასიტყვაობა საერთოდ არ ყოფილა). M (მესინას) და რამდენიმე სხვა მერმინდელი ხელნაწერი. რომელთაც კუალენის 310 ხელნაწერთან ერთად ერთი არსებითი უნდა ახასიათებდეს.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ხელნაწერების აღწერას—და ეს არც საჭიროა ჩვენი მიზნებისათვის. აღვნიშნავთ, რომ ხელნაწერთა ეს, ჩვენ მიერ აღწერილი ჯგუფი უნდა იყოს, რომელიც უფრო უახლოვდება ბერძნულ ორიგინალს. მართლაც-და, დე ბოროსმა რომ გამოსცა გიორგი ამაბრტოლის ხრონოგრაფი, მან საფუძვლად დაუდგა კუალენის 310 და კრიტიკულ აპარატში მოიყვანა ვარიანტები 16 კოდექსიდან. რომელთაგან ზოგიერთი მოკლე რედაქციას წარმოადგენს. ხოლო ზოგიერთი განერკომილს. ამ ვარიანტების შედარება გვიჩვენებს, რომ ბერძნული ტექსტი ამ ჯგუფის ხელნაწერთა ფარგლებში მთლიან სახეს ატარებს: ტექსტს არ ემჩნევა შინაგანი რყევა და ცვლილებებანცდილობა.

ბ) ქართული თარგმანი.

§ 5. ქართული თარგმანი გორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა შესრულებულია 11. საუკუნეში ან 12. საუკუნის დასაწყისში და დაცულია სამი ხელნაწერთი (A, B, C), რომელთაგან უძველესი 13. საუკუნეს ეკუთვნის (იხ. ჩვენი გამოკვების შესავალი და პროფ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია I 292-293 და 545). არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერში ხრონოგრაფი სრულად არ არის დაცული: იგი წყდება თეოდოსი დიდის ნეფობის აღწერით. არა ჩანს, იყო ქართულად ხრონოგრაფის დანარჩენი ნაწილიც თარგმნილი თუ არა, რადგან ქართული A ხელნაწერი ბოლოში დაზიანებულია. ყოველ შემთხვევაში BC ხელნაწერთა გადაწერის დროს თარგმანის გაგრძელება ჯათ დედნებში არ მოიპოვებოდა. B'ს გადაწერს, როგორც მისი ერთი მინაწერიდან ჩანს, ერთი დედნის ნაკლულევანი ადგილები მეორეთი შეუესია, რომელიც პას საგანგებოდ მოქმედნია, ასე რომ, მის დროს რომ შესაძლებელი ყოფილიყო გაგრძელების პოვნა, მას ამის კვალი აღმოაჩნდებოდა. ეს კია. რომ ის ხრონოგრაფს აოლოში შუა წინადადებაზე სწყვეტს (გამოც. 309,25). ასე რომ მისი დედანიც ბოლოში დაზიანებული ყოფილა.

ხელნაწერთა დაზიანების გამო დაკარგულია ქართული ტექსტის შემდეგი ადგილები (დე ბოორის გამოცემით: ფრჩხილებში ნაჩვენებია ქარ. ტექსტის ადგილები).

6.1-10,17 *κλινίαν* (3,6); 22,2 *αυταχ* 33,16 *αυτα* (ქ. 10,21); 35,7 *αυτα*  
38. 11 *αυ* (11,26); 587.8 *αυτα* (309,25).

მართალია უძველეს ქართულ ხელნაწერს (A) უფრო ნეტი აკლია (იხ. ჩვენი გამოც. შესავალი გვ. IX-X), მაგრამ A'ს დაზიანებული დანარჩენი ადგილები. გარდა ზემოთ მოყვანილისა, შეესებულია ჩვენ მიერ მერმინდელი B ხელნაწერის საშუალებით (იხ. გამოცემის გვ. გვ. 35.26; 63,25; 70,6; 74,23; 177.14; 195.34; 300,2; 307,23).

587,8 *αυτα*ზე წყდება ქართული ტექსტი (309,25 «სხუათა ვიდრე-მე») და ამ რიგად მოთხრობაც წყდება თეოდოსი დიდის ხანაზე.

§ 6. ჩვენი ძველი რომ უშუალოდ ბერძნულით არის ნათარგმნი, ამას ჰმოწმობს როგორც მთარგმნელის მინაწერი, ისე თვით ძველის ენა. მკვლევარს შეუძლია, რასაკვირველია. არ დაუჯეროს მთარგმნელს, რომ «ესე ბერძელისაგან ქართველთა ენად ეთარგმნე»-ო (იხ. გვ. 129 სხოლიო), მაგრამ ძველის ბერძნობები—ლექსიკური და სტილისტური ბერძნულით თარგმნილობას ეკვიმუტანლად ამტკიცებენ. ბერძნული დედნის უშუალო გავლენას ჩვენ ვამჩნევთ: ა) როდესაც ბერძნული დედანი სიტყვათა მსგავსების ნიადაგზე ცუდად არის გაგებული; ბ) როდესაც ზედმიწევნით თარგმნის დროს ქართული ენა ოდნავ დამძიმებულია; და გ) წინადადებათწყობაში.

ა) ცუდად გაგებული ადგილები.

de Boor 72,4: *ει δε αφεις ταυ παρηεξ, ια πλασσελσθςα*==29,33 ხოლო უკუეთუ დაურეგებ გამომეტყუელთა. ვითარცა მრავლის-მეტყუელ-

παρασελόμενος (=წმინდით-მეტყუელთა) მთარგმნელს გაუგია. როგორც  
παρασελόμενος.

de Boor 179,15 *αὐτὸς ἦμαρ αὐτὸς ἡμεῖς* გადმოცემულია ქართულად  
«და იყენეს დღენი ზაფხულისა მეურვალეებისანი» (79,35). ლექსიკურად ასეთი  
მთარგმანი სრულიად გამართლებულია, რადგან *ἦμαρ* „ზაფხულს“ აღნიშნავს, ხო-  
ლო *ἡμεῖς* (gen. pl. *ἡμεῶν*) „ცეცხლსა“ და „მეურვალეებს“. მაგრამ *ἦμαρ* ბერ-  
ძნულში „მკას“ აც პნიშნავს, ხოლო gen. pl. *ἡμεῶν* მხოლოდობითი რიცხვის *ἡμεῖς*-  
იდანაც შეიძლება იყვეს, რაც „პურს“. „ხორბალს“ გამოხატავს. და გიორგი  
ამარტოლის სიტყვები სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით უნდა იქნეს  
ვაგებული, რადგან აქ მას მზედველობაში აქვს II მეფეთა 24,14 *αὐτὸς ἦμαρ αὐτὸς ἡμεῖς*  
„და დღენი იყენეს იუქლის მკისანი“. როგორც ვხედავთ ქართველ  
მთარგმნელს შეცთობა მოსვლია სიტყვათა სხვადასხვა მნიშვნელობის ნიდაგზე,  
რაც ბერძნულიდან გადმოთარგმნის დროს ადვილი ასახსნელია.

de Boor 274,15 *ἡμεῖς*: 134,32 «ძისა სედგისა». ჩანს მთარგმნელს  
წაუკითხავს *ἡμεῖς* *ἡμεῖς*.

de Boor 276,17 *ἡμεῖς* გადმოცემულია «ორმოცდა შვიდეული» (136,7-8).  
ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ბერძნულ ხელნაწერში შემოკლებულად ეწერებოდა  
*ἡμεῖς* *ἡμεῖς*, და *ἡμεῖς* ძირი გამოხატული იქნებოდა *ἡμεῖς* და ასოსხემოთა ორი  
აზნეუქით (შდ. Григорий Церетели. Сокращения в греческих рукописях.  
СПБ. 1904. ტაბულა V) და ამრიგად მთარგმნელი წაიკითხავდა *ἡμεῖς*, რაც მარ-  
თლა ორმოცდაშვიდს უდრის.

de Boor 318,5 *ἡμεῖς* გაგებულია, როგორც *ἡμεῖς* და გადმო-  
ცემულია «ახალკმობისა»-დ (160,19).

de Boor 335,2 *ἡμεῖς* (=„შესაწირავთა“: შდ. 214,3=de Boor 415,15,  
გაუგია როგორც *ἡμεῖς* და თარგმნის «ნაცართა» (171,6); შდ. de Boor 413,22  
*ἡμεῖς*=«ნაცართა» 213,5.

de Boor 380,2-3 სიტყვა *ἡμεῖς* გაგებულია როგორც *ἡμεῖς* და გადმოცე-  
მულია ოთხ ადგილას «სიყუდილია»-ს მნიშვნელობით (192,5-6).

de Boor 385,23 *ἡμεῖς* (=ფართა) გაგებულია როგორც *ἡμεῖς*  
«ბქეთა და კართა» 195,26.

de Boor 386,5 *ἡμεῖς* *ἡμεῖς* (*ἡμεῖς* Δ) *ἡμεῖς*. პირველი სიტყვა  
=„მწერის სუნი“: შდ. 171,7 «კუმოლოვთა მიერ»=de Boor 335,2 *ἡμεῖς* ჩვენს  
მთარგმნელს გაუგია როგორც *ἡμεῖς* (რომლის გენეტივი იქნებოდა *ἡμεῖς*,  
ნიშნავს „ქავილს“) და ამით აიხსნება უაზრო ადგილი «აგრძნეს ჩემება რამე»  
195,33).

de Boor 465,14 *ἡμεῖς* მთარგმნელს გაუგია როგორც *ἡμεῖς* და თარ-  
გმნის «სიყუდილი» (242,32), ისევე როგორც 465,14 *ἡμεῖς* *ἡμεῖς* მას იმავე შე-  
ცთობის წყალობით (პკონებია \**ἡμεῖς*) გადმოუყვია «სენი სიყუდილისა» (242,28).

de Boor 506,9 *ἡμεῖς* *ἡμεῖς* *ἡμεῖς* *ἡμεῖς* *ἡμεῖς* *ἡμεῖς* *ἡμεῖς* *ἡμεῖς* *ἡμεῖς* *ἡμεῖς*  
«ითხოვა, რათა მიეცეს მას ადგილი ფილოსოფოსისა მის-მიმართი-  
სა სიტყვს-გებობასა» 265,14). აქ *ἡμεῖς* ნიშნავს „ნებართვას“, მთარგმნელს გადმო-  
უყვია ის მისა ძირითადი მნიშვნელობით („ადგილი“), რაც ცხადია ბერძნულ

ენის გავლენას მიეწერება. სხვათა შორის, ასეთივე შეცთობა მოხელია რუფინუსს, რომელსაც ეს ადგილი — გელასი კესარიელიდან მომდინარე — მოეპოვება და ჩვენი სიტყვა *locus*-ად აქვს გადმოცემული (შდ. A. Glas, Die Kirchengeschichte des Gelasius von Kaisareia Lpz. 1914. s. 21).

de Boor 577,3 τὸν παραΰσαν ἀπὸν παραΰσαν τῆς παλ.ν. ხანგასწული სიტყვა მთარგმნელს გაუგია: როგორც *παρὰ* და ამიტომ თარგმნის ის „გუნდმან შეედრობისა მისისამან წყობა ყო ქალაქისა მიმართ“ (303,26) ნაცვლად „ააჯანყა ქალაქი“-სა.

de Boor 578,9 βέβαιον δὲ εἶναι = „მიითულე განკანონებაჲ“ 304,16. ჩანს მთარგმნელს ამ ადგილას ჰგონებია *τὸν* *μαρτυρῶν*. ცოტა ჭევევით ეს სიტყვა მას სწორად აქვს გაგებული, როდესაც ის წინადადებას *ἡσθαί τε τὸν δεσποσῶν* (de Boor 578,16) გადმოგვეცემს „განკსნაჲ შენი კრულეებისა გან“ (304,24). იხ. აგრეთვე ქართ. 304,35; 305,3.

ასეთივე ხასიათისაა ის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი საკუთარი საეკლესიო კუთვნილად თვლის ზოგიერთ ბერძნულ სიტყვას და ამიტომ გადმოუთარგმნელად სტოვებს:

de Boor 445,24 *κατὰ Μανθίωνα* = „კატა მანეთონის“ 231,18;

de Boor 544,14 *παρὰ τῆς ῥωμανίας* = „თირის თანა მდინარესა“ 284,35;

de Boor 561,6 *ἀπὸ τῆς Ἀβρίας* = „ამფიტონ ადრიადასა“ 294,3;

ანდა პირიქით, როდესაც ის ბერძნულ საკუთარ სახელს ან სიტყვის ნაწილს სთარგმნის:

de Boor 238,7 *Ἰσθμια* = „ქურისაჲთა“ 113,28 და

de Boor 509,6 *ῥωμαίωνων* = „პოტირიტიისნი“ (267,2), სადაც ეს მარცვლი აკლია<sup>1</sup>.

ბ) **ზედმიწევნით თარგმნა.**

ჩვენი მთარგმნელი, როგორც ეს ქვემოთ იქნება დაწვრილებით განხილული. ბრძნად არ მისდევს დედნის არც წინადადებათწყობას და არც ცალკე სიტყვების შეუზღუდველ მნიშვნელობას. მას ახასიათებს დედნის ტექსტის თავისუფალი მომარჯვება და მისი ამოწურვა ქართული ენის ყოველი საშუალებით. მიუხედავად ამისა ბერძნული დედანი საკმარის გავლენას ახდენს მასზე. ამას ქმოწმობს მეტად დიდი პერიოდები, რომელიც ალაგ-ალაგ ვეხვდება (მაგ., 156,3--10), აუარებელი რთული სიტყვები, ქართული ენისათვის უჩვეულო კომპოზიტები („დედებისემეტყუელებთ“ 108,23, „ჩვეულებათმწურთელობითი“ 180,19, „ცუდმეტყუელება“ 30,22 და სხვ.), მიცემითი ბრუნვის ხმარება ნაცვლად ქართულისათვის საკირო ნათესაობითისა („სიმლიდრესა აღურიცხვეელსა შეკრებისა“ 142,16. „სიბრძნესა პანარეტოსისა აღმწერელი“ 146,15, „დამპყრობელი მეფობასა“ 147,8. „მსმენელი ვედრებასა“ 155,11, „ვატიქსა მიმღებელმან“ 156,1) და სხვ.

ბერძნული ენის გავლენა ხშირად იჩენს თავს *χαί*: კავშირის მოხმარებაში. ცნობილია, რომ ბერძნული *χαί*: ორმხრივია და უდრის *καί* და კავშირს და

<sup>1</sup>) აღსანიშნავია, რომ საბაბას ასეთივე ფაორმით მოჰყავს ეს სიტყვა: „*ῥωμαίωνων*“. საფიქრებელია, რომ საბაბა ამ სიტყვას ჩვენი ძეგლიდან იღობს.

2) „ცა“ ნაწილას. ძალიან ხშირად ეს განსხვავება ჩვენი მთარგმნელის მიერ სწორად არის გაცემული. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბუნებრივად თავს იჩენს ბერძნულის გავლენა და მთარგმნელი შეუცნობლად გადმოგვცემს მას „და“-თი იქაც. სადაც ეს ქართულისათვის სრულიად ზედმეტია, რითაც რასაკვირველია ქართული ტექსტის აზრი ცოტა-ოდნად ირყუნება. მაგ.:

de Boor 463,1 *μαρτυροιστης και της εμπορας υπερας δεσπο* = «მოწამე იყოფ-ღეს და ანახლაითსა მის განკურნებასა მისსა» 241,14.

de Boor 570,4 *ουκ και εστις* = «ეგრეთ და ვიხილეთცა» 299,22.

ბერძნული ენის გავლენა ჩანს *αυα*- თავსართის გადმოცემაშიც, რომელსაც მთარგმნელი ხშირად სიტყვა-სიტყვით აქაოთულებს მისი თანდებულობითი მნიშვნელობის მიხედვით: «თანად-ყოველი» 162,1; «თანად-ყოველთა» 198,27 (*αυαπαχης*), აგრეთვე de Boor 189,18 გვხვდება იშვიათი ფორმა *αυαπαχης* „სისქის“ მნიშვნელობით. ამ ცნების გამოსახატავად ბერძნულში ჩვეულებრივ იმპარება *αυαπαχης*. ჩვენს მთარგმნელს გიორგი ამარტოლის მიერ ნახმარი იშვიათი სიტყვის *αυα*- თავსართი თანდებულად მიუჩნევა და ამით აიხსნება მისი უახრო «მკონებელთა საზომისა ათწყრთეულისათა სიზრქით-ურთა» (85,21).

### 3) წინადადებათწყობა.

ყველაზე უფრო შესამჩნევია ბერძნული დედნის გავლენა წინადადების წყობაში. მართალია, ჩვენი მთარგმნელი ბრმად არ მისდევს დედნის ტექსტს და როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდ თავისუფლებას იჩენს წინადადებათწყობაში თავისუფალია, მაგ., 105,30—34 = de Boor 223,20—24; 107,32—33 = 227,8—9). მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ თარგმნის დროს დედნის წყობა ძალაუვნებურად გავლენას ახდენს მთარგმნელზე. თავისდა შეუმჩნეველად ის იცავს დედნის წინადადებათწყობას და ხშირად ამის გამო ქართული ტექსტის გაგება ძნელდება. ამას ჩვენ ვამჩნევთ ისეთ ნაწილებშიც-კი, რომელიც საღმრთო წერილიდან არის ამოღებული და რომელიც, მათასადამე, მთარგმნელისათვის ბუნებრივი ქართული წყობით იქნებოდა ცნობილი. მაგ., 492,13 *και ελεειναι και ελεειναι* = «და ვლდებოდის ვითარცა ირემი მკელობელი» 257,20 (ე. ი. „და ვლდებოდის მკელობელი, ვითარცა ირემი“).

ყველა ეს საბუთი სრულიად ნათლად ხდის ჩვენი ძეგლის თარგმნილობას ბერძნულით. ამას შეგვიძლია აგრეთვე დაუმატოთ ბერძნულის გავლენა საკუთარი სახელების გადმოცემისას და ის უტყუარი საბუთი ჩვენი ძეგლის ბერძნული წარმოშობისა, რომელიც გაბნეულია როგორც თვით ძეგლში, ისე მის სხოლოებსა და მიწაწერებში. ჩვენ სახეში გვაქვს ის ბერძნული სიტყვები, რომელიც ჩვენს მთარგმნელს ან გადმოუთარგმნელი დაუტოვებია, რადგან ის ვერ გაუგია, ან აშინაზე მიუწერია ბერძნული შესატყვისი, რადგან თვითონვე საეჭვოდ მიუჩნე-ვია თარგმანი (ან სხვა მიზეზის გამო).

§ 7. ქართული თარგმანი რომ შევადაროთ ბერძნულ დედანს, მაშინვე ცხადი გახდება, რომ ის ხელნაწერთა იმ ჯგუფს მისდევს, რომელიც წარმოდგენილია კულენის 310 და მისი მონათესავე ხელნაწერებით. მთავარი ნიშნები ამ უკანასკნელებთან ნათესაობისა შემდეგია.

ა) ქართულ ტექსტს წინასიტყვაობა (პროლოგი) არა აქვს. მისი უძველესი იელნაწერი A (13. საუკუნისა) იწყება პირდაპირ ხრონოგრაფით: მას, როგორ; ამას რვეულების ნუმერაცია გვიჩვენებს, არ ჰქონია წინასიტყვაობა. თავში ხელნაწერს აკლია სულ 1 ფურცელი<sup>1</sup>, სადაც იყო დასაწყისი პირველი წიგნისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ თარგმანში, საზოგადოდ, პროლოგი არ ყოფილა. საზოგადო სენია ქართული ხელნაწერების, რომ პირველი ფურცელი აკლია ხოლმე: მაგ., ჩვენი ხრონოგრაფის ქართული ხელნაწერების მდგომარეობა ასეთია: A ხელნაწერს ერთი ფურცელი აკლია და ასეთი ნაკლულევანი სახით ჰქონიათ ის BC ხელნაწერი ან გადაწერილი. B ხელნაწერს, რომელიც C-ზე უფრო ადრეა შესრულებული, A ხელნაწერის საკმაოდ კარგი, შესაძლებელია განახლებული პირა ჰქონდა ხელთ, მაგრამ თავში ამ ხელნაწერშიაც დაკარგულია მცირეოდენი ნაწილი. C ხელნაწერს A-სთან შედარებით კიდევ აკლია ერთი ფურცელი. ეს გარემოება ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ A ხელნაწერს გარდა თავისი ნაკლულევანი ერთი ფურცლისა უნდა აკლდეს კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც მის დედანს უნდა დაკლებოდა მთელი საუკუნის ან საუკუნე ნახევრის მანძილზე. და სწორედ ეს ორი ფურცელი შეიცავდა დასაწყისს პირველი წიგნისა, რომელიც ქართულ თარგმანს აკლია ბერძნულთან შედარებით (de Boer 6, 10, 17).

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ პროლოგი არ უნდა ყოფილიყო არც იმ ბერძნულ დედანში, რომელიც მთარგმნელს ხელთ ჰქონდა. და რადგან პროლოგის უქონლობა ახასიათებს ზოგიერთ დაცულ ბერძნულ ხელნაწერებსაც (მაგ., კულენის 310 და 134. შდ. ხევით § 4), შესაძლებელია დაუშვათ, რომ იმ ორი რეცენზიიდან, რომელიც დე ბოორის აზრით თვითონ გიორგი ამპარტოლიდან მომდინარეობს, პირვანდელი რეცენზია უპროლოგოდ იყო და ამ რეკონსტრუქციის ერთ-ერთი შემდეგდროინდელი ხელნაწერი ხელთ ჰქონდა ქართველ მთარგმნელს.

ბ) სათაურების ფორმა ქართულ თარგმანში იგივეა, რაც კულენის 310 და მისთანა ხელნაწერებში: «ნებროთის-თვს», «სოსტრის-თვს», «ფარაოას-თვს» და სხვ. ე. ი. ფორმა *πρωτῶν τῶν βιβλῶν* და არა *ἀρχῆς τῶν βιβλῶν*.

გ) კერძოდ კულენის 310 ხელნაწერს აახლოვებს ქართულ თარგმანს შენდები გარემოებაც. კულენის 310-ს აქვს ერთი ხარვეზი, დე ბოორის გამოცემით 184,3 211,28, რომელიც გამოცემაში შეესვებულია სხვა ხელნაწერების მიხედვით. და ქართული ტექსტი სწორედ ამ ადგილას იძლევა აუარებელ ტექსტუალურ სხვაობას გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან შედარებით. ეს გვაფიქრებინებს, რომ ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონია კულენის 310-ის ხასიათის ისეთი ტექსტი, რომელსაც კულენის 310-ის ნაკლულევანი ადგილიც დაცული ჰქონია და, მაშასადამე, ქართული ტექსტის სხვაობათა სათანადო გაცხრილის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ისეთი ვარიანტები, რომელიც კულენის 310-ს (resp. მის დედანს) ექნებოდა.

<sup>1</sup>) მართალია, ხელნაწერი დღეს მ. ფურცლით იწყება, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თ. კ. ი. დანი ას ფურცლების დახუჭვის დროს ერთი ამოხეული ფურცელი, რომელიც ეწეა მ-დ გვაქვს აღნიშნული, პირველ ფურცლად (რეა. მეროდ) ჰქონდა აღნიშნული (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. IX. შდ. 4).



დ) კულენის ხელნაწევებთან ახლო დგას მესინას ხელნაწერი (M, codex Messanensis), რომელიც ქართული თარგმანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის არის. რადგან ზოგიერთ გარეგნულ დეტალში ქართული ტექსტი დიდ მსგავსებას იჩენს მასთან. ასე, მაგ., 1) მესინას ხელნაწერს ერთ ადგილას (de Boor 264,16) ესკურიალის ხელნაწერთან ერთად ახასიათებს მინაწერი  $\alpha\lambda\epsilon\gamma\alpha\iota\sigma\tau\alpha\iota$   $\chi\alpha\sigma\mu\epsilon\lambda\iota\sigma\iota\alpha$ , და აქ გადამწერს ორი სტრიქონის ადგილი თავიანთ ფაქტობრივ დაუტოვებია ზედწერილისათვის (C. de Boor, Weiteres zur Chronik des Logotheten: *BZ X (1901), 71*). ეს ჩვენ ვვაგონებთ იმ გარემოებას, რომ სწორედ ამ ადგილას ქართველი მთარგმნელიც სწერს: «დაესრულა ხრონოლოგია კიორგი მონაზონისაჲ ადამისითგან და ვიდრე დასასრულამდე შეფობათა იუდაეა და ისრაელისათა» (ჩვენი გამოც. 129) და აქვე ურთავს თავის ანდერძს: 2) მესინას კოდექსს აქვს ზოგიერთი ისეთი ზედმეტი სათაური, რომელიც სხვა ხელნაწერებს არ მოეპოვებათ, ქართულს-კი აქვს: მაგ. de Boor 145,20 მესინა იძლევა  $\alpha\delta\epsilon\phi\iota\sigma\tau\alpha\iota$   $\alpha\iota\omega\upsilon$   $\chi\alpha\iota$   $\alpha\delta\epsilon\phi\iota\sigma\tau\alpha\iota$ —ქართ. 67,7 «მსაჯულთა-თვის» (de Boor l. c. 71); დასასრულ. 3) მესინას კოდექსს თავისი საერთო ხასიათით უახლოვდება ქართული თარგმანი კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებით. როგორც ეს ქვემოთ თავის ადგილას განხილული იქნება. ქართული თარგმანი ხშირად ამოკლებს საღვთისწიერულ ადგილებს (იხ. § 15). მესინას კოდექსიც შუა ხრონოგრაფიდან დაწყებული იჩენს ასეთ მიდრეკილებას და საგრძნობლად ამოკლებს ხოლმე გაზვიადებული საღვთისმეტყველო პასუხებს (de Boor l. c. 76-77).

ზემოთაქვამი ცხადყოფს, რომ ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონია ის რეცენზია ბერძნული დედნისა კიორგი ამართოლის ხელიდან გამოსული. რომელიც წარმოდგენილია კულენის 310 და მისი მონათესავე ხელნაწერებით. აქედან ცხადია, ქართული თარგმანის ტექსტუალური ხასიათის გამოსარკვევად ჩვენ შევადარებთ მას დე ბოორის მიერ კულენის 310 ხელთნაწერის საფუძველზე გამოცემულ ტექსტს.

§ 8. კიორგი ამართოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი ბერძნულ ტექსტთან შედარებით აუარებელ სხვაობას იძლევა. ეს სხვაობა როდი ჩანს მართოდ დე ბოორის მიერ გამოცემულ ტექსტთან შედარებით, არამედ ამ სხვაობათ—გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, რომელიც ცალკე იქნება მოყვანილი—არავითარი ტექსტუალური გამართლება არა აქვთ კრიტიკულ აპარატში მოყვანილ ვარიანტებშიც. აი ამ მხრივ არის სწორედ გაძნელებული ქართული თარგმანის ტექსტუალური გამოყენება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გამოყენება გადავიღდება, თუ ჩვენ უწინარეს ტექსტუალური შეფასებისა საზოგადოდ დაეხმარებათ ძველს: ჩვენ უნდა გავიგოთ, რა მეთოდი აქვს ჩვენს მთარგმნელს, რა სტილისტური სახეობანი ახასიათებს მას, რომ ამით საშუალება მოგვეცეს გამოვსინათ ის, რაც ჩვენი მთარგმნელის თავისუფალ ტექსტუალურ მიმარჯვებას უწყობს. და ის, რაც თვით დედნის სხვაობით აიხსნება.

ც) ქართული თარგმანის თავისებურებანი.

§ 9. როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი მთარგმნელი ბრძალ არ მისდევს ბერძნული დედნის არც წინადადებათწყობას და არც ცალკე სიტყვების შეუზღუდველ მნიშვნელობას. მას ახასიათებს დედნის ტექსტის თავისუფალი გაგება და მისი ამოწურვა ქართული ენის ყოველი საშუალებით. ეს გატარებულია მთელი წიგნის სივრცეზე, ასე რომ არაერთარ საჭიროებას არ წარმოადგენს აქ იქნეს აღნუსხული ყველა ის წერილმანი, რომელიც მთარგმნელის თავისუფალ მთარგმნელობითს აზროვნებას ახასიათებს. საკმარისი იქნება, თუ ჩვენ ამის მხოლოდ ზოგიერთ ნიმუშს მოვიყვანთ:

33,18 *γῆμαχλόν* (=დაბალი) *ἔσται*=10,23 «*არა გრძელ არს ჰასაკითა*».

36,7 «*რამეთუ ვიდრე მთოვარისა და მისთანათამდე ხოლო შთამომავალად თქუა უფლისა მიერისა განმგებელობისა ძალი*»=84,5 *τὰ γὰρ οἱ μᾶχρῃ σεληνῆς ἰμῆνευ ἕφη ἴ·* *φέν.* თავისუფალი თარგმანი გამართლებულია აქ მით. რომ ბერძნულად კონსტრუქტიულად არის გამოთქმული ფორმები (*τὰ μᾶχρῃ ἰμῆνευ*)

46,16 «*რამეთუ რომელსაცა დაემკვდრა ვინ სოფელსა, იწოდა სოფელი თანამოსახელედ მამისა სოფლებისა მის ნათესავთაჲსა*». ხაზგასმული სიტყვებით მთარგმნელის ზედმეტ განსაზღვრას წარმოადგენს.

60,24 «*რამეთუ რაჲ უღირდა მას შემთხუევად ბუნებებითისაგან საცუთრებისა და თვისებისა და ძმებრივისა ერთსულობისა*». ხაზგასმული სიტყვებით უღირის 133,11 *საბ ἄν·* *φυσικῆς φιλοσοφίας.*

დასასრულ, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელის მიერ მოცემულ ფორმას საუძველად უდევს სხვადასხვა ბრუნვები. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევებში, როდესაც სიტყვა მთარგმნელისათვის უცნობია და მის დედანში არსებული ფორმა მისთვის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს; ეს შესაძლებელია აგრეთვე მაშინაც, როდესაც სიტყვა ზეპირად არის შეთვისებული განსაკუთრებულის კონტექსტით. ასე, მაგ., 240,15 «სხოლარიონთაჲსა» (de Boor 461,10 τῶν ἑξαχρῶν) მრავლ. ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას იძლევა, ისევე როგორც «იქედნეთა»-ში უნდა იყოს მოცემული მრავლ. სახელობითი ἑξῆς (წაიკ. ექიდნე). რომ Nom pl. შეიძლება გამოსავალ წერტილს წარმოადგენდეს, ამას კმოწმობს ნემესიოსის „ბუნ. კაც.“-ის ქართული თარგმანიც: 59,12 «ადენესნი» (N. pl. ἀδέσ); 27,24 «ასთაკვნი» (N. pl. ἀσθακῶν: ἄσθ); 59,13 «ინესი» (N. pl. ἰνές); 59,12 «უმენესნი» (N. pl. ὑμένες). დედნის გავლენით უნდა აიხსნებოდეს ჩვენს ძველში მოცემული აკუზატიური ფორმებიც: «კვპრონი», «მვროვალლონი» (<მვროვალლონი<მვროვალლონი), «ოპოვალსამონი», რომელთაც მართლაც აკუზატიური ფორმები უდრის ბერძნულ დედანში (de Boor 258,17-18), აგრეთვე «კვინტილიონი» (146,31) და მისი გავლენით «ექსტილიონად» (147,5). რაც შეეხება სიტყვებს: ბისონი, ბომონი, ლიტონი, მოქლონი, საპუირონი (საფირონი), ფსალმონი || ფსალმუნი (შდ. ზემოთ გვ. 68). —ესენიც აკუზატიური ფორმით არიან წარმოდგენილი. ჩვენ არ ვიცით ჯერ-ჯერობით, თუ რა ნიადაგზეა წარმოშობილი აქ აკუზატიური ფორმა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ასეთი ფორმით ბერძნული სიტყვის შეთვისებას ხშირად აქვს ადგილი: სტიქონი || სტიქონი: ივ, ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 65; სტარუნ სვანურში: აკ. შანიძე, შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუზატიური ფორმით სესხებისა სვანურში: ტფ. უნ. მოამბე V 254-256. შესაძლებელია, ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ შემთვისებელს (ზეპირის გზით) ხშირად ესმოდა აღნიშნული სიტყვები ასეთი კონტექსტით.

§ 34. თანხმომენიანი ძირები. იმ შემთხვევებში, როდესაც ბერძნული ძირის დაბოლოება -ν არის, რასაკვირველია, ძნელია იმის გარჩევა, ძირეული ფორმა წარმოადგენს გამოსავალ წერტილს თუ ნომინატივისა:

114,7 ალკონნი; 277,26 კანონი; 228,8 სიფონნი; 306,25 ტრიფონებითა; 25,33 ტრიტონთა; 228,4 ეთერი; 146,21 კლარ; 302,18 პრეტორისაჲ; 240,15 პროტიკტორნი; 264,32 რიტორნი.

მაგრამ ძირეული და არა ნომინატიური წარმოშობა ფორმისა თანხმომენიანი ძირების გადმოცემის დროს ცხადად ჩანს ისეთ სიტყვებზე, რომელთაც სივმიანი ნომინატივი აქვთ:

85,21 აღამანტთა (ἀγάμας); 141,28 ანდრიანტი (ἀνδραπέδ); 295,27 დეკისათა (δέκ); 34,10 ნომადნი (νομάς); 172,6 პინაკისა. (πινάξ); 126,10 ფინიკნი (φινίξ). ბერძნული ტექსტის სათანადო ადგილებში ამ ქართულ ფორმებს სწორედ სივმიანი ნომინატივის მქონე სიტყვები უდევს საფუძვლად. მაგრამ შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანი, როგორც ჩვენი მთარგმნელისათვის უკვე წინათ ნაცნობი და მაშასადამე წინათ შეთვისებული ქართულში, — ბერძნული კინობი-

თ. ფ. კუპეტიდან მომდინარეობდეს. ასეთად მიგვაჩნია ჩვენ, მაგ., «ბინაკი», როპელსაც შეიძლება საფუძვლად ედევას არა *πυλαξ* არამედ *πυλαξαι*, resp. *πυλαξαι*. (შდ. Thurnb 427). მეორეს მხრით საფიქრებელია, რომ ზოგიერთს საფუძვლად ედევას არა თანხმოვნითი ძირის სიგმიანი ნომინატივის მქონე ფორმა, არამედ საშუალო პერძნულში კონსონანტური კანკლედობის მოსპობის გზაზე (იხ. Dieterich 154 შნდ.) წარმოშობილი ფორმების სახელობითი ბრუნვა, ასე რომ ნაადრევი იქნებოდა დასკვნა, თითქოს ქართულად გადმოცემის დროს ძირეული ფორმა წარმოადგენდეს გამოსავალ წერტილს, მით უმეტეს რომ, გარდა ლკანასკნელისა, ყველა დანარჩენი კატეგორია უფრო ნომინატიურ წარმოშობაზე ნაკვეთითობებს.<sup>1</sup>

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს «ლამპარნი» (*λαμπάρνι*). ამ სიტყვას საფუძვლად უდევს. როგორც ჩვენს თარგმანში, ისე აღიშის სახარებაში (იოან 18,3 «ლამპრებითა») სიგმიანი ნომინატივი და შიანი ძირი, ასე რომ ნისგან ჩვენ მოველოდით ფორმას \*ლამპადი. ის გარემოება, რომ ეს ფორმა ასე განსაკუთრებულად დგას ქართულში და ბერძნული ფონეტიკით ის გამართლებული არ არის, და ამასთანავე ის ნიშანდობლივი მოვლენა, რომ სახარების ტექსტში ყველგან (გარდა ზემოთ მოყვანილი ადგილისა), სადაც-კი ვულგატაში «ლამპარნი»-ა (მთ. 25, 1, 3, 4, 7, 8) ბენეშევე. და აღიშ. „სანთელნი“ ფორმას იძლევიან, გვაფიქრებინებს, რომ ქართული ფორმა სომხურის საშუალებით უნდა იყოს შენოსული (შდ. მარტი XB 1,118).

დასასრულ. უნდა აღინიშნოს ფორმა „ოლკმპადო“, რომელსაც საფუძვლად უდევს არა ძირეული, არამედ გენეტივის ფორმა (*ολκμπαδου*) და „სთინლოსი“, რომლის ძირად აღებულა გენეტივი.

<sup>1</sup>) აღსანიშნავია, რომ თანხმოვნითი ძირის მქონე, ნომინატივში სიგმით დაბოლოებული სიტყვითი სიტყვები ხშირად ნომინატიურ ფორმას იძლევიან: 65,2 ორუფეს; 235,1 პეტრინაქს (შეგრამ: 235,3 პეტრინაქსისა); 68,1 პრომოიფეს; 166,4 ფილქს

## ‘ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა’.

§ 35. საკუთარი სახელები, რომელიც ერთი ენიდან მეორეში გადნოდის, იგივე „უცხო“ ან „ნასესხი“ სიტყვებია. ასე რომ საკუთარი სახელებიც თავისი ფონეტიკურ-მორფოლოგიური სახეობით იმავე სურათს უნდა იძლეოდეს, როგორც საზოგადოდ უცხო ენით შეთვისებული სიტყვები. რომ ფონეტიკურად ბერძნული საკუთარი სახელები იმავე შესატყვისობით გადმოდის ქართულში, როგორც საზოგადოდ ბერძნული სიტყვები, ეს ჩვენ § 31<sup>1)</sup>ში დაეინახეთ. რაც შეეხება მორფოლოგიურ მხარეს, აქაც არსებითად ჩვენ იგივე სურათი გვაქვს, რაც საზოგადოდ სახელებში. ასე, მაგ., ხმოვნიათი ძირებისათვის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს სახელობითი ბრუნვა, რომელმაც იმ შემთხვევაში, თუ ის სიგმიანია, შეიძლება მოგვეცეს ქართულში როგორც სანიანი, ისე უსანო ფორმები: თანხმოვნთან ძირებში-კი ხშირად ძნელია გარჩევა, ნომინატიურ თუ ძირეულ ფორმასთან გვაქვს საქმე. გარდა ამისა მრავალია შემთხვევა, როდესაც საკუთარი სახელის გადმოცემას საფუძვლად უდევს ის ფორმა, რომელიც მთარგმნელს ბერძნულ დედანში ჰქონდა. მაგ., 135,10 „ვეტკლუანი“ (ქალაქი) მომდინარეობს აკლზატიური ფორმიდან (Βετκλαχ: de Boor 275,5), 29,13 „კამირუსა“ და 296,4 „კარეს შინა“ დაკავშირებულია Dat pl.-თან (ἐν... Καμειρυσαι: de Boor 71,4; ἐν... Καρμα: de Boor 546,21) და სხვა. ასე რომ, არსებითად, საკუთარი სახელები მორფოლოგიურადაც საზოგადო სახელებს მისდევენ. მაგრამ არის ზოგიერთი მომენტი საკუთარი სახელების გადმოცემაში, რომელიც საკუთარ ხდის, რათა ისინი ცალკე იქმნენ განხილული. ეს ეხება განსაკუთრებით მამაკაცთასახელებს, რომელთაც ჩვენ აქვე განვიხილავთ.

<sup>1)</sup> ქართული საკუთარი სახელები, საზოგადოდ, სრულებით არ არის შესწავლილი. თუკი სადმე მოიპოვება შენიშვნები ქართული ონომასტიკონის შესახებ, ისინი შემთხვევითი ხასიათისაა. ასეთია, მაგ., ნ. მაროის შენიშვნები ლეგონ მსერიანის სადოქტორო შრომაზე დაწერილ რეცენზიაში (Тр. кн. V. Критика и мелкие статьи, გვ. 22-24) და ივ. ჯავახიშვილისა „ქართველ ერის ისტორიის“ I წიგნში (ტფილისი, 1913) გვ. 42-43. ორივე შენიშვნა ეხება ონხე დაბოლოებულ პირთასახელებს. ამის გარდა ჰიპოთეზა კიდევ ნ. მაროის ორი პატარა შენიშვნა უცხო ენით შეთვისებული, სანით დაბოლოებული პირთასახელების შესახებ „იპოლიტეს“ (Тр. кн. III გვ. LIII) და „სახისმეტყველის“ (Тр. кн. VI. გვ. 99) წინასიტყვაობებში.

მამაკაცთასახელები<sup>1</sup>.

§ 36. ბერძნული მამაკაცთასახელები გადმოცემულია ქართულში სხვადასხვანაირად. აქ შეიძლება აღინიშნოს ორი მთავარი ხაზი:

1) ბერძნული სახელები<sup>2</sup> გადმოცემულია იმ სახით, რომ სიტყვის ძირად ნიღბებულია ნომინატივის ფორმა:

ანტილონოს-	ევსევიოს-	ლაღვას-
ანტონინოს-	კლავდიოს-	ფერეკლდის-
ენილიანოს-	ნექტარიოს-	
სილვესტროს-	ეპიმინოდას-	და მრავალი სხვა,

ანდა:

2) გადმოცემულია ისე, რომ ნომინატივის ფორმა დაკული არ არის და სიტყვის ძირად გვაქვს ფორმები:

ანტილონე-	ევსეკი-	ლაღვა-
ანტონინე-	კლავდი-	თუკკლიდი-
ენილიანე-	ნექტარი-	სოფოკლი
სილვესტრე-	ანაქსალორა-	და მრავალი სხვა.

ცხადია, თუ ერთი და იგივე საკუთარი სახელი Ἄντιλονος გადმოცემულია ერთს შემთხვევაში ან ტილონოს, მეორეში-კი ანტილონე, Ἰσίδωρος — ევსევიოს და ევსევი და სხვ., — ცხადია აქ ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს (დაბოლოების მხრივ) ორ სხვადასხვა ნაკადთან<sup>3</sup>.

ერთი ნაკადი, როდესაც ბერძნული სახელების გადმოცემის დროს სიტყვის ძირად ნიღბებულია ნომინატივის ფორმა, მომდინარეობს წმინდა ლიტერატურული გზით, როდესაც ქართველი მთარგმნელი დედნის უალრესი გავლენის ქვეშ იძულებულია.

<sup>1</sup> ბერძნული მამაკაცთასახელების ქართულად გადმოცემის შესახებ ჩვენ მიერ მოხსენებული იყო „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ სხდომაზე 1925 წ. აპრილის 7-ს, და დაიბეჭდა კრებულ „არილი“-ში (გვ. გვ. 89-116). აქ ხელმეორედ იბეჭდება ზოგიერთის შესწორებები.

<sup>2</sup> როდესაც ჩვენ ვვებით ბერძნულ მამაკაცთასახელებს, ჩვენ მხედველობაში გვაქვს, გარდა საკუთრივ ბერძნული სახელებისა, აგრეთვე ბერძნულის საშუალებით ქართულში გადმოცემული რომაული სახელებიც. ასეთია, მაგალითად, სახელები Honorius, Maximus, Tiberius და სხვანი. უკრ-უკრობით ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, თითქოს რომაული სახელები (საზოგადოება და საკუთარიც) უშუალოდ იყოს შეთვისებული ქართულში და არა ბერძნული საშუალებით. ამ მოსაზრებით საზოგადო სახელების განზიღვის დროსაც ჩვენ ცალკე არ განაჯივრებია რომაული სახელები.

<sup>3</sup> სომხური ენა ამ შემთხვევაში აღნიშნავს მხოლოდ ერთ გზას. იქ ბერძნული ე-იანი სახელები სწინდევ არის გადმოცემული: პილოს, პეტროს. იოკჰანნეს, ლუკას და სხვა.

თარგმნის დროს ისე ძლიერია დედნის გავლენა, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე სახელი—ან სიტყვა—სხვადასხვა ძირეული ბოლოკიდურით მოგვევლინოს, იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმა წარმოდგენდა მთარგმნელისათვის გამოსავალ წერტილს. მაგალითად:

ა) გენეტიკის ფორმა უდევს საუქველად 225,4 «კრანაუესითგან» (de Boor 434,9 ჰბ: *Kranauz*); 244,6 «ემპედოკლეოასი» (de Boor 468,9 *Ἐμπεδοκλέου*);

ბ) დატივის გავლენით აიხსნება 232,23 «იუქტორის» (de Boor 447,14 *Ἰουκτορίας*);

ც) აკუზატიური წარმოშობისაა წრფელ ბრუნვა «მენდისიონა 222,16 (de Boor 429,12: *τὸν Μενδίσιονα ἄρχοντα*); 283,30 «ბრძანა ხატათა საძაგელთა დაწერა დიახსსა და არეაქსსა» (de Boor 541,18 *Διάχξι: Ἄρεξι*), იმ დროს როდესაც სხვა კონტექსტში ჩვენ გვაქვს იგივე სახელები: «ზეეს» და «არის»<sup>1</sup>.

ასეთივე გავლენა უნდა იყოს ბერძნულ დედანში მოცემული ფორმებისა, როდესაც მთარგმნელი ერთსა და იმავე წინადადებათწყებაში ერთისა და იმავე დაბოლოების მატარებელ ბერძნულ სახელს სხვადასხვა ბოლოკიდურით გადმოგვცემს:

ვალვინოს	240,10;	ვალვინოასსა	240,12.
ვიროს	234,30;	ვიროასსა	234,32.
იუსტილლიანოს	242,20;	იუსტილლიანოასსა	242,23.
კაროს	248,23;	კაროას	248,25.
მაკრინოს	239,32;	მაკრინოასსა	239,34.
სპერდიოს	136, 7;	სპერდიოასსა	136,10.
ტაკიტოს	248,17;	ტაკიტოასა	248,19 და სხვ.

პირველ შემთხვევაში მთარგმნელისათვის სახელმძღვანელო ფორმები იყო *Βαλβίνου, Βίρου etc.*, ხოლო მეორეში *Ἰεξ: Βαλβίνου, ἄρχ: Βίρου* (ან *ἄρχ: Ἰεξ: Βαλβίνου, ἄρχ: Ἰεξ: Βίρου*) etc. პირველ შემთხვევაში ბოლოკიდურად ისმოდა -ოს, მეორეში -ო(ნ).

მეორენაირი ფორმები—არა ნომინატიური—წარმოშობილი უნდა იყოს პირადი ურთიერთობის ნიადაგზე, არა მწიგნობრულის გზით, არამედ ზეპირად, ბერძნებთან პირადი ურთიერთობის დროს. მთელი სიძნელე მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ამ მეორე გზით შემოსული ფორმებიც სხვადასხვანაირი დაბოლოებით არის გადმოცემული. ძირის დაბოლოების სახით ჩვენ გვევლინება ე ი ა უ და თანხმოვნები.

<sup>1</sup>) ამავე წარმოშობისაა საკუთარ სახელთა შემდეგი აკუზატიური ფორმები: თევდოსიონ, პაპიონ, ალექსიონ, აგათონიკონ, კორნელეონ და სხვა (პროფ. კ. კეკელიძე, კართული ლიტერატურის ისტორია I 158—166; მისივე „კრამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა“; ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. V გვ. 106).

ჩვენ რომ მხოლოდ ზოგიერთი სახელები ავიღოთ, შესაძლებელია აღამიან-მა იფიქროს, რომ ქართულად გადმოცემისათვის აღებულია იგივე ნომინატივის ფორმა, რაც ჩვენ მწიგნობრულის გზით გადმოცემის დროს შევგვხვდა, და მხოლოდ ნომინატივის ჯის მოშორებით არის ძირი სიტყვისა შეთვისებული.

ლუკას — ლუკა  
ლაღვის — ლალვა  
მოსეს — მოსე

ჰეროდეს — ჰეროდე  
დიმოსთენის — დიმოსთენი  
იესუს — იესუ

და მრავალი სხვა.

აკად. ნ. მარრი სწორედ ასე ჰფიქრობს, ხოლო სანის დაკარგვას ის მიაწერს ან ქართული ენის ბუნებრივ მოთხოვნილებას ამ შემთხვევაში, ან ასურულისა და სომხურის გავლენას.

„სახისმეტყველის“ კომენტარებში (TP კნ. VI გვ. 99) აკად. ნ. მარრი ამბობს: „სანით დაბოლოებული სახელები ქართულში ჩვეულებრივ ჰკარგავენ ამ ბგერას, რომელიც ქართულში ნათესაობითისა და მიცემითის კონსონანტურ დახასიათებას წარმოადგენს: მაგ., მოსე ნაცვლად მოსეს-ისა, იესუ ნაცვლად იესუს-ისა“. იმავე „სახისმეტყველის“ წინასიტყვაობაში ნ. მარრი საკუთარი სახელების უსანოთ გადმოცემას (იესუ, ქრისტე) ასურულ გავლენას მიაწერს (Физиолог, გვ. XXX).

სომხურით შეთვისებული სახელების გადმოცემას ასურული ფორმების გავლენით ხელს უწყობს ნ. მარრის აზრით ისიც, რომ სანის მოცილება ამ შემთხვევებში საჭიროა ქართული ენის ბუნებითაც. „იპოლიტე“-ს წინასიტყვაობაში აკად. ნიკო მარრი ეხება ორ საკუთარ სახელს, რომელიც მისი აზრით სომხურით არის შეთვისებული ქართულში. ეს არის სახელები მოსე და ჰეროდე. „Грузинский язык не сохранял согласного s (в) в исходе именительного падежа заимствованных собственных имен во избежание путаницы в падежах, где s, с тем или другим гласным (is, sa [из as]). является характером косвенных падежей, отсюда *Μουϋϋα* = მოსე, *Ἡρακλῆς* = ჰეროდე და т. п. И это сведение окончания -*ეს* (es) на окончание -*ე* (e) происходило тем охотнее, что *ე* есть обычное окончание собственных имен в грузинском“ (Ипполит, გვ. LIII).

როგორც აქ მოყვანილ შესატყვისობათაგან ნათელია, ქართულად მოსე და ჰეროდე კი არ იქნებოდა, რომ ესენი სომხურით იყოს შეთვისებული ქართულში (მაგრამ უსანოთ), არამედ \*მოვესე და \*ჰეროდე, რადგან ბერძნულას სომხური გადმოცემა *მო*-ით. ქართული მოსე და ჰეროდე შეთვისებულია უშუალოდ ბერძნულით, სადაც ჩვენ გვაქვს *Μωυϋς* (*Μωυϋς* და *Μωυϋς*, პარალელურად)<sup>1</sup> და *Ἡρακλῆς*. ქართული ფორმების ბერძნულს სადაურობას ამტკიცებს აგრეთვე ბოლოკიდური -ე, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) შდ. Fr. Blass' Grammatik des neutestamentlichen Griechisch, bearbeitet von Alb. Debrunner 5. A. 1921 გვ. 23.

<sup>2</sup>) მოსეს სახელი შეთვისებულია ქართულში სანიტაც, ე. ი. მწიგნობრულის გზით შეთვისებული ფორმაც მოიპოვება. იხ. ლუკა 2, 22 („და რ'ეს აღხესრულნეს დღენი განწყედისა მათისანი შეჯულისა მეგრ მოს(ს)ისა...“: ტფ. სახ. უნივერსიტეტის ნაწილი № 8-14).

ამრიგად, აკად. ნიკო ბარბორი რამცხევერს (История гв. III; Филолог გვ. 99) აღნიშნავს: ასეთ დაბოლოებულ საკუთარ სახელებში ქართული ჰქარგავენ ბოლოკიდურ -s's, რადგან ქართულში. ხანი გენეტივისა და დატივის დამახასიათებელია და საჭირო იყო განსხვავების დადგენაო.

ენა, მართალია, მიმართავს ხოლმე ასეთ ხერხს და ხანდახან საჭირო ხდება მისთვის სხვადასხვა დიფერენციაციის დადგენაც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ქართველებს ხანის აღრევის თავიდან ასაცილებლად მოეპოვებოდათ სხვა საშუალება, რომელსაც ისინი მიმართავენ ხოლმე, მაგ., შემდეგ შემთხვევებში: ან გ ე - ლ ო ზ ი, (ანგელოსი) ბ ა რ ბ ა რ ო ს ი, დ ე კ ა ნ ო ზ ი, ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი, ს ტ ე ფ ა - ნ ო ზ ი, რ ო მ ა ნ ო ზ ი, მ ო ს ე ს ი და მრავალი სხვა, რომელთაც ისინი აბრუნებენ ისევე, როგორც ყოველს -სი'ზე დაბოლოებულ სატყვას (ტ ფ ი ლ ი ს ი, რ უ ი ს ი, ს ა ს მ ი ს ი), და არავითარ აღრევასაც არა ჰქონია ადგილი.

ასე რომ უხანო ფორმებს საკუთარი სახელებისას ჩვენ ვერ ავხსნიით მხოლოდ-და-მხოლოდ ხანის დაკარგვით იმ მიზეზების გამო, რომელზედაც აკად. ნ. მარბრი გვითითებს.

მაგრამ, კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ ასეთი გზა საკუთარი სახელების გადმოცემისა, ჩვენ აუხსნელი დაგვრჩება ორი დიდი კატეგორია საკუთარი სახელებისა, რომელთა გადმოცემასაც ჩვენ ვერ ავხსნიით მხოლოდ ხანის მოშორებით.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის მამაკაცთასახელები, რომლებიც ენითა და ინით ალის დაბოლოებული, როგორც მაგ.:

- 1) პ ე ტ რ ე, პ ა ე ლ ე, ქ რ ი ს ტ ე და მისთანანი ერთის მხრით; და
- 2) ა მ ბ რ ო ს ი, გ ი ო რ გ ი, გ რ ი გ ო ლ ი და მისთანანი მეორეს მხრით.

ამ ორი კატეგორიის საკუთარი სახელების გაახილვამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ესენი შეთვისებულია ქართულში ბერძნული ვოკატივის ფორმით.

§ 37. ვოკატივის ფორმას ხშირად გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია პირთასახელების ფორმათა წარმოებაში, როგორც სრული ისე მოფერებითი (კნინობითი) სახელის წარმოების დროს. Zimmero (Keltische Studien. 10. Zur Personennamenbildung im Irischen=KZ 32, 158—197) აღნიშნავს სამს საფეხურს: 1) ჩვენ გვაქვს ყველა ბრუნვაში სრული სახელი, ამავე დროს ერთი ფორმა მოფერებითი მიმართვისა (eine Form der kosenden Anrede); 2) მოფერებითი მიმართვის ფორმა გაქვევდება სრული სახელის პარალელურ ფორმად. რომელიც მხოლოდ ნომინატივში იხმარება; და 3) მოფერებითი მიმართვის გაქვევებული ფორმა იხმარება ყველა ბრუნვაში. და როგორც Felix Solmsen-ის მიერ (Indogermanische Eigennamen als Spiegel der Kulturgeschichte, Heidelberg 1922. Herausgegeben und bearbeitet von Ernst Fraenkel) მოყვანილი მაგალითებით ცხადია, სახელის შემოკლებული ფორმა ჯერ ვოკატივში იხმარებოდა და შემდეგ თანდათან სხვა ბრუნვებშიც (და პირველ რიგში ნომინატივი) იქმნა წარმოებული (გვ. 124). ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს Iupiter.



ასეთივე ხასიათისაა ის მოვლენა, რომ „მამაკცთა სახელებს (კნიზობითსა და მოფერებითს), რომლებიც ატიკურში -ჟიით არის დაბოლოებული, ბეოტიის უძველეს წარწერებში ნომინატივში არა აქვთ ჯ“ (Zimmer, გვ. 193): აქაც ნიშანთვის ფორმა (სადაც ჯ არ იყო) ნომინატიურად არის გამოყენებული.

ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია აგრეთვე გ. ხაძიდაკიძე. ბერძნულში მოიპოვება ფორმები 'Ιουλις, Πετρωνίης, Αὐρηίης და სხვ., რომლებიც შეეყვება რომაულ სახელებს: Iulius, Petronius, Aurelius, და სხვათ. და გ. ხაძიდაკიძის სამართლიანად ხსნის ამ მოვლენას შემდეგნაირად (Zur Geschichte des Mittel- und Neugriechischen: KZ 31, 103 - 156):

„ბერძნებს ესმოდათ ყველგან, რომ რომაელები ერთმანერთს უწოდებდნენ: Iuli, Gai, Antoni, Aureli, Petroni, Mari etc.; და წოდებითი ბრუნვის ფორმებიდან, რასაკვირველია, მათ არ შეეძლოთ ეწარმოებინათ სხვაგვარი ნომინატივები, თუ არა 'Ιουλις, Πετρωνίης, Αὐρηίης, Μάρης etc. ესე იგი სრულიად ისეთსავენაირად, როგორც [საკუთრივ ბერძნული ფორმების ანალოგიით] — 'Αλεξάνδρου — 'Αλεξάνδρου, Εὐπαιδῆς — Εὐπαιδῆς..... ასე, მაგალითად, ჩვენ გვხვდება vocativის ფორმები 'Ιουλίου: Benseler [Studien III] 154, Σηφραίου: 155 'Απολλωνίου, Σημειφύ: 172. Αχάξι: Γεωργίου. Εὐαγγέλιου, Φιλαρέτου, Πύργου. 174, Κίρι: 176. .... რომაელებს შეეძლოთ თავიანთი ნომინატივი აგრეთვე ius-ით, თუნდაც განსაკუთრებით ius-ით ეწარმოებინათ, მის შემდეგაც კი, რაც ბერძნები უშთაერესად შემოკლებულ ფორმას ანუკობინებდნენ, და არა -ისით; ეს სულერთია ამ ფორმის შემდგომი განვითარებისათვის ბერძნულში, რადგან ეს დაბოლოება -ის -იუს etc., ისევე როგორც სხვა რამეები, განმტკიცებული იყო ბერძნულში და მოქალაქეობრივი უფლება მოპოვებული ჰქონდათ, და ფორმები ἰ Μάρης, τὸν Μάρης, τὴν Μάρης ἢ Μάρη: ჩვეულებრივი სქემა იყო“ (გვ. 112).

ვოკატივის გავლენა ბერძნულში ისე ფართო ხასიათს ღებულობს, რომ ის არა თუ ნომინატივის საწარმოებლად არის გამოყენებული (ვოკატივი+ნომინატივი -ის, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებშია), არამედ არის შემთხვევები, როდესაც ვოკატივის ფორმა იმავე დროს ნომინატიურად არის მოხმარებული. ასეთი შემთხვევები ჩვენ მრავალი გვაქვს ბერძნულ პაპირუსებსა და წარწერებში. ამას ცხად ჰყოფს შემდეგი ნომინატივები:

Φιλαρέτου: (Φιλαρέτου || \*Φιλαρέτου — Φιλαρέτου || Φιλαρέτου) [voc.--nom.] BGU (Aegyptische Urkunden aus den Museen zu Berlin) I 9 (მესამე საუკ.)

Εὐαγγέλιου: εὐ εὐ εὐ 'Αλοπαι(λίης) ე. ი. ცხოვრობს.

Κορυφαίου: (Κορυφαίου || Κορυφαίου || Κορυφαίου) BGU IV 1044,2 (IV საუკ. ქრ. შ.)  
Τῆ[τε] ἀ[π]αρ[τ]ῆς ἀ[π]ε[κ]κ[α]τῆς Ἄρτου Κορυφαίου.....χ[ρ]ι[στ]ο[φ]ο[ρ]ο[υ].

Μακκάρη: (Μακκάρη || Μακκάρη || Μακκάρη: Viereck, Ostraka der Universitäts- und Landesbibliothek zu Strassburg (მოკვყავს Preisigkels Namenbuchთ).

ასევეა ბიზანტიურ პაპირუსებშიც, სადაც ჩვენ გვხვდება იანნი მამაკცთასახელები სხვადასხვა ბრუნვებში გამოყენებული ვოკატივის ფორმით:

Τῆ[τε] Creek Papyri in the British Museum IV (1910). 1419,645.

Μαριανός (=Μαριανός): I. e. f. e. b. v. r. e, Recueil des Inscriptions grecques-chrétiennes d'Egypte. Kairo 1907 (მოგვეყავს P r e i s i g k e თ ი).

Μαριε (=Μαριε): Crum, Coptic monuments (Kairo 1902) 8421 (მოგვეყავს P r e i s i g k e თ ი).

Μαριε (=Μαριε). Greek Papyri etc. IV, 1419, 1128.

Θεοφιλης (=Θεοφιλης) იქვე 1419, 662 et passim: ზ/ Θεοφιλης<sup>1</sup>.

საშუალო ლათინურშიაც გვაქვს შემთხვევები, როდესაც საკუთარი სახელის ვოკატივი ნომინატივად იხმარება. მაგ., L E L I S I L V A N E C I L V I I I 2182 etc. (მოგვეყავს S o m m e r - ი თ: Handbuch d. lat. Laut- und Formenlehre S. 341).

ანალოგიურ მოვლენას ადგილი უნდა ჰქონას ქართულშიაც, და ეს პირველ ყოვლისა თავს იჩენს იმ საკუთარ სახელებში, რომლებიც ქართულში წარფელობით ბრუნვაში ენითა და ინით არის დაბოლოებული. სწორედ პირადი ურთიერთობის დროს, როდესაც ქართველებს ბერძნების ურთიერთისადმი მიმართვა ესმოდათ ყველგან—და თვითონაც მიმართავდნენ ხოლმე ბერძნებს— საკუთარი სახელები ევლინებოდა მათ ვოკატივის ფორმით.

§ 38. ა) -ე და -ი ბოლოკიდურიანი სახელები.

1) ენით დაბოლოებული საკუთარი სახელების ხმარება საქართველოში დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან, და ამ გავრცელებისდა მიხედვით შეზღოვის სახელები, რომლებიც ბერძნულში -ა-ით არის დაბოლოებული, ქართულში კი ენით, და პირველ რიგში ეს ეხება ქრისტეს სახელწოდებას (Χριστός voc. Χριστός). ბუნებრივია, რომ ქრისტეს სახელს ქართველები იმთავითვე გაიცნობდნენ ლოკვა-ვედრების გზით, როდესაც ქრისტესადმი მიმართვაში ბერძნები იხმარდნენ ვოკატივის ფორმას Χρ:σ:ს (ქრისტე), და ანნაირადვე იქნებოდა შეთვისებული იესუ ('Ιη:σ:σ, voc. 'Ιη:σ:σ), რომელიც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში სწორედ ამ სახით გვევლინება და არა იესო-ს ფორმით. ბუნებრივია ისიც, რომ ასეთივე გზით შეიძლებოდა შეთვისებული ყოფილიყო სახელები პეტრე, პავლე, მათე და სხვანი, და ამ გზით უკვე დამკვიდრებულიყოს ტრადიცია -ა-იანი სახელების გადმოცემისა ენიანი ბოლოკიდურით. ამას ცხად ჰყოფენ ქართულში ხმარებული შემდეგი სახელები:

ქართული.	ბერძნული.	ვოკატივი
ალექსანდრე	Ἀλεξάνδριος	Ἀλεξάνδριε
ანდრონიკე	Ἀνδρονίκος	Ἀνδρονίκε

<sup>1</sup>) ეს საკითხი—ბერძნულში -ა-იან მამაკაცთა სახელების -ს ვოკატივის ნომინატივად მოხმარებისა—სრულებით ახალ თემას წარმოადგენს და ცალკე გამოკლევაა მოითხოვს. ამიტომ ჩვენ აქ მას დაწვრილებით ვერ შევხვებით და შემომოყვანილი მაგალითებით დავეყვარებით (ბერძნულ პაპირუსებსა და წარწერებში ხმარებულ პირთა სახელებისათვის ფასდაუდებელია Friedrich Preisigke, Namenbuch. Heidelberg 1922. აქ მრავალი სახელია მოყვანილი -ს დაბოლოებით, მაგრამ ხშირად ეს კითხვა ან პრობლემატიკურია, ან წმინდასახელების აღნიშვნელია).

ბართოლომე <sup>1</sup>	Βαρθολομαῖος	Βαρθολομαῖε (წაი; ბართოლომე)
ვერასიმე	Ἐρασίμος	Ἐρασίμω
დამიანე	Δαμιανός	Δαμιανέ
ეთჳჳმე (<ეეთჳჳმე) <sup>2</sup>	Ἐπιθῳμος	Ἐπιθῳμω
თევდორიტე <sup>3</sup>	Θεοδώροτος	Θεοδώροτῳ
თეოდორე (>თე- დორე > თედორე)	Θεόδωρος	Θεόδωρε
კვირიე (კვირიკე)	Κυριακός	Κυριακῳ
კვირიე (კირილე)	Κυρίλλος	Κυρίλλῳ
ლაზარე	Λάζαρος	Λάζαρε
მათე	Ματθαῖος	Ματθαῖω (წაი; მათე > მათე)
მაქსიმე <sup>3</sup>	Μαξιμῳς	Μαξιμῳ
პავლე	Παύλος	Παυλῳ
პეტრე	Πέτρος	Πέτρῳ

და მრავალი სხვა.

ამავე გზით არის წარმოშობილი ქართულ მწერლობაში და ხალხურ ენაში გავრცელებული სახელები: ზოსიმე, იპოლიტე, ისიდორე, კოსტანტინე, ნიკიფორე, პილატე, სავლე, სტეფანე, ტიმოთე, ტიტე, ფილიპე, და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ-რომაული სახელების გადმოცემა ქართულში ენიანი ბოლოკიდურით სწორედ -აჲიან ბერძნულ სახელებთანაა დაკავშირებული:

-ე ბოლოკიდური აქვს ქართულში სწორედ იმ სახელებს, რომელთაც ბერძნულშიაც ენი აქვთ ვოკატივის ფორმაში.

2) ქართულში გადმოცემულია წრფელობით ბრუნვაში ენიანი ბოლოკიდურით ის სახელები, რომლებიც ბერძნულში -აჲიანი ბოლოკიდურით გვევლინება. ამ კატეგორიის საკუთარ სახელებზე იგივე უნდა ითქვას, რაც ჩვენ ენიან სახელებზე ვთქვით: ესე იგი პირველ წყებაში შედის მამაკაცთა ის სახელები, რომლებიც უფრო ხშირ ხმარებაში იყო ბერძნებთან ურთიერთობის დროს. ასეთ სახელებს ეკუთვნოდნენ, ალბათ, გეორგი (resp. გიორგი) გრიგორი (resp. გრიგოლი), ანტონი და სხვანი მისთანანი. ეს სახელები ბერძნული ლიტე-

<sup>1</sup>) მათე X, 3. აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ენაშიაც ვოკატივის ფორმა (Βαρθολομαῖος — Βαρθολομαῖ) გამოყენებულია ნომინატივის საწარმოებლად და Ἐπιθῳμαῖოსის პარალელურად ჩვენ გვაქვს Βαρθολομαῖος (წმ. Hatzidakis 94).

<sup>2</sup>) „მეოხებითა... ეთჳჳმესითა“: თარგმ. ფსალ. წიგნისაი ეფრემ მცირისა (ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. II 244, 58). მაგრამ იმავე ეფრემს აქვს 215, 165: „მამისა ჩნისა ეთჳჳმისა“; ასე რომ ორივე ფორმა უნდა ვიგულისხმოდ პარალელურად: ეთჳჳმე (Ἐπιθῳμος voc. Ἐπιθῳμω) და ეფთჳჳმი (Ἐπιθῳμος voc. Ἐπιθῳμω). იხ ქვემოთ -ი სახელების შესახებ.

<sup>3</sup>) „გერცალა თევდორიტესა მას თარგმანსა დთისასა კელი შეყჳჳ (ეფრემ მცირე, თაყაიშვილი, არხ. მოგზ. II 247, 246-7; „თედორიტე... მამად მართლმადიდებლობისა შერაცხილ არს“ (იქვე სტრ. 258 და სხვაგანაც).

<sup>4</sup>) აგრეთვე Κυριακός (წმ. Glotta II 338).

<sup>5</sup>) აბ დ ლ მ ე ს ი ა (6,4,1: „გონგნე მაქსიმედ“.

რატურიდან ცნობილია, განსაკუთრებით, მათი სრული სახით: *Γεωγραφία*, *Γεωγραφία*, *Γεωγραφία* და სხვ. მაგრამ ამ სრული ფორმების პარალელურად ხალხურ ენაში განვითარდა შემოკლებული ფორმები, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გ. ხაძიდაკის გამოკვლევით (*Zur Geschichte des Mittel- und Neugriechischen*: KZ 31, 112) განომინატივებულ ლათინურ ეოკატის წარმოადგენენ. როგორც Iuliusის ეოკატივმა Iulii წარმოშვა ბერძნული ნომინატივი 'Ιουλις', ისევე შეიქმნა ხალხურ ბერძნულში *Γεωγραφία*, *Γεωγραφία*, *Γεωγραφία* და მისთანანი, რომელთა ეოკატავი იყო *Γεωγραφία*, *Γεωγραφία*, *Γεωγραφία* და სხვ. და ეს ფორმები შემდეგ ლიტერატურულადაც შემოიკრა ბერძნულში (იხ. Hatzidakis, გვ. გვ. 76—79; 82; 98).

ქართული	ბერძნული	შემოკ. ბერძნული	ეოკატევი
ათანასი <sup>2</sup>	Ἀθανάσιος		
აკაკი	Ἀκάσιος	Ἀκάσιος	Ἀκάσιος
ალექსი	Ἀλέξιος	Ἀλέξιος	Ἀλέξιος
ამბროსი	Ἀμβρόσιος		
ანტონი	Ἀντώνιος	Ἀντώνιος	
არსენი <sup>3</sup>	Ἀρσένιος	Ἀρσένιος	
ბასილი	Βασίλειος (Βασίλειος)	Βασίλειος	Βασίλειος
გეორგი (გიორგი)	Γεωργίος	Γεωργίος	Γεωργίος
გრიგოლი	Γρηγόριος	Γρηγόριος	Γρηγόριος
დიმიტრი <sup>1</sup>	Δημήτριος	Δημήτριος	Δημήτριος
ევსევი	Ἐβασίλιος	Ἐβασίλιος	Ἐβασίλιος
ევტიქი	Ἐβασίλιος	Ἐβασίλιος	Ἐβασίλιος
ლეონტი	Λεόντιος	Λεόντιος	Λεόντιος
მაკარი <sup>3</sup>	Μακάριος	Μακάριος	Μακάριος
პორფირი	Πορφύριος	Πορφύριος	Πορφύριος

და მრავალი სხვა.

ამ ფორმების პერალელურად არსებობდა, რასაკვირველია, ლიტერატურულის გზით შემოსული -იოხიანი ფორმებიც (ამბროსიოს, ევსევიოს, და სხვ.) და რომ ესენი სხვადასხვა გზით შემოვიდა (ზეპირად და მწიგნობრულად), ამას ადასტურებს სახელი კორნელი — კორნილიოს. ლათინური Cornélius ბერძნულად 1) ზეპირი შეთვისებით იქნებოდა *Κορνέλιος* ეოკატ. *Κορνέλιος* (=კორნელი),

<sup>1</sup>) ასეთი ნომინატივის ნიმუშს იძლევა აგრეთვე ქართულიც: გ. მონ. 146,19 „ვიღრე იულის კვისრისაძლე“.

<sup>2</sup>) „ათანასის ვიტყვ და კვილიუს“ (ეფრემ მციორის „თარგმ. ფს. წიგნისაი“. ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზ. II 215, 173). არსებობს ამ სახელის მეორადი ფორმაც (ათანასი).

<sup>3</sup>) „გამოიძია მამამან...არსენი“ (№ 160 ხელ. ტფ. უნ. სიძვ. მ. გვ. 223, ქრ. 1,79). „განაახლა და განაურცნა კჳზან არსენი“ (№ 170 ხ. ტფ. სახ. უნ. მ. II და 325). ხანძ. 42,44. „ნუ ეშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის“.

<sup>1</sup>) ხანძ. 22,1 „გამოკითხა შეფემან დიმიტრი“.

<sup>2</sup>) ხანძ. 75,3 „ხოლო მამამან მაკარი... იკითხა“. იქვე 75, 53—54 „ხოლო მაკარის ქრულდა“.

სადაც რ'თი აღნიშნულია ლათინური გრძელი ო; ხოლო 2) ლიტერატურულად იყო სრული ფორმა *Kvavilias*, რომელიც საშუალო ბერძნულში წაიკითხვოდა კორნილიოს. ქართულში ორივე მოიპოვება და ამ სახელში, ჩვენის აზრით, ვარდა დაბოლოებისა, ძირეული ენისა და ინის ცვალებადობაც უნდა ამტკიცებდეს მათი შეთვისების სხვადასხვა გზას.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ენითა და ინით დაბოლოებულ სახელებში ბოლოკიდური ენი და ინი აიხსნება იმით, რომ ქართულში ეს სახელები ბერძნულით არის შეთვისებული მათი ბერძნული ვოკატივის ფორმით.

მართალია, ნ. მარს ერთს ადგილას (Иппол. გვ. XI) შენიშვნა მოეპოვება, თითქოს ენი ქართული საკუთარი სახელების ჩეულებრივი დაბოლოება იყოს და ქართულს ეს დაბოლოება ნასესხი სახელებისთვისაც გამოყენებინოს, მაგრამ:

a) ენით დაბოლოებული ქართული (ე. ი. არა ბერძნულ-რომაული) საკუთარი სახელები მეტად მცირერიცხოვანია, რომ შეგვეძლოს ენი ქართულ დაბოლოებად მივიჩნიოთ. თვით საზოგადო სახელებშიც მისი გამოყენება ბოლოკიდურად, ვარდა სა- და სი- პრეფიქსიანი სიტყვებისა, მეტად შეზღუდულია (არე, არვე, ბადე, დვირე, ზღუდე, თბე, კლდე, მასკნე, მზე, სარკე, სვე, უბე, უპე, ღელე, შრე, ჰუნე etc.) და სხვა (მაგ., ო, ა, ბოლოკიდურებთან შედარებით მას არავითარი უპირატესობა არა აქვს. საკუთარ სახელებში ენის ხმარება ბოლოკიდურად კიდევ უფრო შეზღუდულია (ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ სახელი ვაჩე, რომლის სადაურობა ნათელი არ არის), და ამ მხრივ საკუთარ სახელებში ონი და ანი უფრო გავრცელებულია (გიგო, კაკო, გიგა, დათა და სხ.);

b) ქართული ენა ხმარობს ენს ბოლოკიდურად ისეთ გარკვეულ, არა ქართულის ნიადაგზე ახსნად შემთხვევებში, რომ შეუძლებელია ენი ქართულ დაბოლოებად მივიჩნიოთ. ამ მხრივ საგულისხმოა ენისა და ინის ხმარების შედარება. რომ ორივე ბოლოკიდური ზედმიწევნით არის განსხვავებული და გარკვეულ მორფოლოგიურ შესატყვისობათ წარმოადგენენ, ესე იგი ენით არის გაღმრეკებული ბერძნული -ჲ დაბოლოებიანი სახელები (ვარდა მცირეოდენი განონაკლისებისა), ხოლო ინით -ჲიანი, ამის ნათელ სურათს იძლევა გიორგი ავარტოლას ხრონოგრაფში მოყვანილი მამაკაცთასახელები<sup>1</sup>:

1)-ე ადრიანე    ანდრიანე	ბოსტრე
აურილიანე	გორდიანე
ალექსანდრე	დიოკლიტიანე
ანტილონე (ანტილონოს)	დომენტიანე
ანტონინე (ანტონინოს)	ეკპტე
არისტოველე	ელისე

<sup>1</sup>) ტექსტის ადგილებს, სადაც ქვემოთ მოყვანილი სახელებია მოხსენებული, ჩვენ არ აღვნიშნავთ, რადგან ისინი ტექსტის გამოცემასთან დართულ ინდექსშია ნაჩვენები. ადგილები აღნიშნულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ინდექსში ის გამოტოვებულია.

როდესაც მთარგმნელს -ე -ი ფორმის პარალელურად ნომინატივის -ოს -იოს'იანი ფორმა აქვს ნახმარი, ჩვენ ამას ფრჩხილებში აღვნიშნავთ.

ემილიანე 243,26 (ემილიანოს)	ჰამფილე 166,12
ზაკქე	ჰეტრე
თეოდორე	ჰილატე
თეოდორიტე	რუფინე 304,29 (რუფინოს)
თეოფილე	სილვესტრე (სილვესტროს)
იოვიანე	სკვთ[ი]ანე 244,5 (სკვთიანოს)
იპპოლიტე	სტეფანე
ისიდორე	ტატიანე
იულიანე    იელიანე	ტერტულიანე
კალინიკე	ტიმოთე
კვრილე	ტიტე
კვპრიანე	ტრაიანე
ლაზარე	უაღერეიანე 243,11 (უაღერეიანოს)
მატთე    მათე	უაღენტიანიანე (უვაღენტიანიანოს)
მარკელლე	უაესტე
მაქსიმე	ფილიპე    ფილაპე
მაქსიმიანე	ულაბიანე
მაქსიმიანე (მაქსიმიანოს)	ფლორიანე
ნიკაფორე	ფოტინე
ონისიმე	ლრატეიანე.
პავლე	
2)-ი აექსენტი	თეოდოსი
ათანასი	იგნატი    ეგნატი
ამბროსი (ამბროსიოს)	ირაკლი
ანასტასი	კლავდი 183,23; 166,2 (კლავდიოს)
ანტონი	კოსტანტი 253,1 et pass. (კოსტანტიოს)
აპოლინარი	
არკადი	ლავრენტი
არსენი	მაკარი
ბასილი	მაქსენტი
გიორგი	მელეტი
გრიგოლი <sup>1</sup>	მოკი
დალმატი	ნექტარი 302,17 (ნექტარიოს)
დიმიტრი	ნევესი
დიონისი (დიონისიოს)	ონორი
ევსევი (ევსევიოს)	პაფნუტი 266,6
ევსტათი	პორფირი
ევტუქი    ევტუქი	პროკოპი
ვიკენტი	ტიბერი

<sup>1</sup>) რომ ეს სახელი (გრიგორი || გრიგოლი) წრფელობით ბრუნვაში „გრიგოლი“ იყო თავდაპირველად და არა „გრიგოლ“; ამტიციებს სხვადასხვა ძეგლებში დაცული ფორმები, გრი-

ბირველი ჯგუფის სახელებს ბერძნულში უდრის -ი; ბოლოკიდურიანი სახე-  
ლები (Ἀβραάμ, Ἀβραάμ, Ἀβραάμ, Ἀβραάμ, Ἀβραάμ etc.), ხოლო მე-  
ორე ჯგუფისას -იაინი (Ἀβραάμ, Ἀβραάμ, Ἀβραάμ, Ἀβραάμ, Ἀβραάμ etc.).

ის გარემოება, რომ ენიანი და ინიანი მამაკაცთასახელების ხმარება ასეა  
განსხვავებული და ეს განსხვავებული ხმარება ასე ზედმიწევნით არის გატარე-  
ბული ქართულ ძეგლებში (და ზეპირ თქმაშიც), გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი  
დასკვნა, შესახებ აღნიშნული სახელების ვოკატიური წარმოშობისა, სწორი უნ-  
და იყოს.

მდგომარეობა ჩვენ ისე კი არ წარმოგვიდგენია, თითქოს ყველა ზემოთ  
ჩამოთვლილი ფორმები ზეპირად იყოს შეთვისებული ქართულში ვოკატივის  
ფორმით. ვოკატივის ფორმით ითვისებდენ ქართველები ბერძნებთან ურთიერ-  
ობის დროს ყველაზე მეტად გავრცელებულ სახელებს და ასეთი წარმოება გა-  
დატანილ იქნა ანალოგიურ შემთხვევებზე. და ამრიგად დამკვიდრდა ტრადი-  
ცია -იაინი სახელების გადმოცემისა ენით, ხოლო -იაინისა -ი ბოლოკიდურით<sup>1</sup>.

რომ -ე ბოლოკიდურიანი სახელები ბერძნულის ვოკატივის ნიადაგზეა  
წარმოშობილი, ამას ამ ბოლო ხანებში აღიარებს აკად. ნ. მარრიც, რომე-  
ლიც ამ უკანასკნელ თევეში გამოცემულ „გრამატიკაში“ (Н. Марри. Грамма-

თქვამს ნაძვლის ცხ-ში (29.65) სწერია: „ხოლო ნეტარმან გრიგოლი დაიღუწა სული მისი.“  
მართალი იყო ნ. მარრი, როდესაც მან ტექსტის გადმოცემისას ეს ფორმა არ შეასწორა ჩვეუ-  
ლებრივ „გრიგოლ“ ფორმად, და საბუთიანი იყო მისი მაშინდელი შენიშვნაც (გვ. XLVII § 33,  
a 1.) „გრიგოლი концептуется как основа, почему неоформленный падеж, замещающий  
эт. мест. именный. звучит григголи“.

ამას ნათლად ამტკიცებენ ჩვენი ძეგლის შემთხვევები, სადაც სიტყვის ძირად resp. წრფე-  
ლობით ბრუნვად ნახმარია ფორმა „გრიგოლი“ და არა „გრიგოლ“, მაგ.: „ხოლო კრებაჲმან  
ერგასისთა მანათანან და მეფემან თეგდოსი ღმრთისმეტყველსა გრიგოლის დაუმტკიცეს  
ეპისკოპოსობაჲ“ (302.10); „მეფე იქმნა ღალღიანოს... რომლისა-ზე არტემონ და სწვნეო  
წყალებსმთავარნი იცნობჯორდეს და გრიგოლი საკვირველთ-მოქმედი... ბრწყინვიდა“  
(243, 27—28).

ხოლო შედეგ ხანებში ძირი „გრიგოლი“ აღიქმოდა, ვითარცა სახელობითი ბრუნვა და  
-ი დაბოლოების მოცილებით წარმოებულ იქმნა ძირი resp წრფელობითი ბრუნვა „გრიგოლ“.

1) ერთის შეხედვით, შესაძლებელია ვინმემ იფიქროს. რომ მეთოდოლოგიურად მცთარი  
იქოს ჩვენი გზა საკუთარი სახელების ჯამორკვევისა. სახელდობრ, შესაძლებელია მცთარად მო-  
ეწინოსთ ის, რომ ჩვენ ასე გამოვყავით მამაკაცთა სახელები და დანარჩენ (მაგალითად,  
ქ.ლთა) საკუთარ სახელებთან დაუკავნირებლად წამოვყავნეთ ჩვენი დებულება. მაგრამ როგორც  
ზემოთ დაიწახეთ, ჩვენ მიერ მოყვანილი მამაკაცთასახელების შეთვისება ქართულში განსაკუთ-  
რებულ პირობებში უნდა მოხდარიყო. ჩვენი საკუთარი სახელების ფორმები შეიძლება შე-  
ივისებელი იყოს ქართულში ნაოლოდ ზეპირად, პირადი ურთიერთობის დროს. მაშინდელ პი-  
რობებში კი გასხვავებული პირადი ურთიერთობა განსაკუთრებით მამაკაცთა შორის არის  
წარმოსადგენი.

ამავე მიზეზით არის, რომ—როგორც ზემოთ იყო აღნიშნული— ის საკუთარი სახელები,  
რომელიც აღიკვერნი -იათ არის დაბოლოებელი, ხოლო ბეოტიურ წარწერებში ნომინატივის  
დროშა უკიდროდ აქვთ, სწორედ მამაკაცთა სახელებია. ისინიც წარმოშობილია პირადი  
ურთიერთობის ნიადაგზე. როდესაც მამართის ფორმა (ვოკატივი) აღიხულ და შემდეგ ხმარე-  
ბულ იქმნა ნომინატივად.

ტიკა древне-литературного грузинского языка, 1925) ირას შენიშვნაში (გვ. 50 § 67) აზრობს: некоторые имена грузинским языком усвоены в форме греческого звательного падежа на —z, как-то —პეტრე Петр, პავლე Павел как бы являют форму заимствованного звательного падежа.

რაც შეეხება -იანი სახელების ინიტ გადმოცემას, აქ შეიძლება კიდევ ექვი არსებობდეს მისი ვოკალური წარმოშობის შესახებ. სახელობრ: როგორც აღნიშნული იყო -იანი სახელებს ბერძნულში განუვითარდათ პარალელური ფორმა -იჲ ბოლოკიდურით (Ἰσῆჲ და სხვ). ასეთი ბოლოკიდურიანი ნომინატივის ფორმიდან ქართველებს შეეძლოთ ეწარმოებინათ ფორმა -ის მოშორებით, როგორც ეს შემჩნეულია საზოგადო სახელებში და აგრეთვე საფიქრებელია ზოგიერთ (მაგ., -აჲ, -იანი) საკუთარ სახელებში. მაგრამ აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: როდესაც ეს უკანასკნელად მოხსენებული საზოგადო და საკუთარი სახელები ქართულში გადმოდის მათი ნომინატიური დაბოლოებით, ხოლო -ის მოშორებით, იქ ჩვენ პარალელურად მოგვეპოვება ორივენიანი ფორმა: სანიანიცა და უსანოც. ჩვენს შეძახევაში-კი -იანი საკუთარი სახელებიდან არ არის დადასტურებული არც ერთი -ის(-იჲ) ბოლოკიდურიანი ფორმა, თუ არ მივიღებთ ნედველობაში ერთ შეძახევეს, როდესაც Ἰσῆჲჲ გადმოცემულია ფორმით «იულის» (Ἰουλιჲჲ) 146.19, რომელიც, საფიქრებელია, საზოგადო სახელ «იულის»-ის (ე. ი. «იულისი») გავლენით იყოს წარმოშობილი. ასე რომ -იანი სახელები ჩვენ გვაქვს ან სრული ფორმით (-იოს), ან ვოკალურიით (-ი).

§ 39. ბ) -ი ბოლოკიდურიანი სახელები (ბერძნული -იჲ, -იჲ).

-იჲ, იანი<sup>1</sup> სახელები გადმოცემულია აგრეთვე ორნიარად: სრული სანიანი და უსანო. ფორმებით:

1) არის (285,1) ასტავის, იპპოკრატის, კამეისის (141,10) კარპოკრატის, პოლიკრატის, ფერეკდის;

2) არისტოტელი, არტავანი, არტაქსერქსი, ასტავი, დიმოსთენი, დიოგენი, ევრიპიდი, ემპედოკლი, ერმი, ვარდისანი (234,26), ზამბრი, თუკვდიდი, ირაკლიდი, კლიმი, ოლოფერნი, ორიგენი, სოფოკლი, უვალი, ქსერქსი.

პირველ ჯგუფში წარმოდგენილია ბერძნული ნომინატივი (როგორც არის ეს აგრეთვე -ოს -იოს<sup>1</sup>იან შემთხვევებში).

მეორე ჯგუფის ინი, რასაკვირველია, ძირეულია: ის არ არის ქართული ნომინატივის დაბოლოება, რაც ცხადია იქიდან, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ფორმები ქართულ ტექსტში წარფლობითი ბრუნვის ფუნქციას ასრულებენ: 141,12 «არტაქსერქსი კელგრძელმან»; 235,10 «რომელმანცა ორიგენი აღექსანდრიათ აღმოცენებულმან ფრიადი მოსწრაფება მოიგო...» და სხვა. ამასვე ამტკიცებს სხვა ქართული ძეგლებიც: ნემეს. 26,24 «რამეთუ ქსენოკრატისმან ეს შესიტყუვა შეკრება; ნემეს. 59,2 «სთნდა უქლპ იპპოკრატისა.

<sup>1</sup>) ამ (და აგრეთვე -აჲ) დაბოლოების სახელები სხვადასხვა ფლექსიისა არიან.



წემდეგ ეს ინი ნომინატივის დაბოლოებად იქმნა მიღებული და ამით აიხსნება, რომ „არისტოტელი“-ს ძირის პარალელურად ჩნდება „არისტოტელ“ ძირი. ჩვეულებრივი თქმაა ნემესიოსის თარგმანში: „იტყვს პლატონ“ და „იტყვს არისტოტელი“ (და აზა „არისტოტელ“); მაშასადამე, როგორც „პლატონ“ ძირია სახელისა და არა ნომინატივი, ისევე „არისტოტელი“. მაგრამ მიცემითში და მოთხრობითში მუდამ არის „არისტოტელს“ და „არისტოტელმან“, და არა „არისტოტელის“ და „არისტოტელიმან“, როგორც ეს უნდა ყოფილიყო თავდაპირველად და როგორც ეს არის ქსენოკრატისა და იპპოკრატის მავალითებში (მოთხრ. ქსენოკრატიმან, მიც. იპპოკრატის).

ამის შინდევ საფეხურს წარმოადგენს ის, რომ ინი მართო მიცემითსა და ნოთხრობითში კი არ იკარგება, არამედ წრფელობითსა და სახელობითშიაც, და ამით აიხსნება, რომ ჩვენ ქართულში უფრო ხშირად სოკრატ ფორმა გვხვდება, ვიდრე სოკრათი. ეს ხომ იმავე ჯგუფს ეკუთვნის, როგორც იპპოკრატი (Δακρυχης—Ιπποκρυχης) და მისგან ჩვენ მოველოდით სოკრატი ძირს.

-რჯიანი სახელების გადმოცემა ქართულში იმით არის გამარტივებული, რომ იმ დროს, როდესაც ბერძენ-ქართველთა პირადი ურთიერთობაა საგულისხმებელი, გამოთქმაში რჯ ის ს უღრიდა, ასე რომ 'Αριστοτελης (წიკი. „არისტოტელის“) ისეთსავე კატეგორიაში იყო, როგორც ხალხური ფორმები 'Ισακρης (შემდეგ 'Ισακρης ან 'Ισακρης), და მაშასადამე, როგორც უკანასკნელიდან იყო ვეოროგი (გიორგი), ანალოგიურად იქნებოდა არისტოტელი. გამარტივებულია ინდგომარეობა იმითაც, რომ საშუალოსა და ახალ ბერძნულში -რჯიან სახელებს ვოკატივიც ი(რ)ზე აქვთ (Hatzidakis 78).

თავის-თავად საფიქრებელია, რომ, რადგან აქ საქმე გვაქვს -რჯ დაბოლოებასთან და რკი IV-V საუკუნეების საზღვარზე ფონეტიკურად მერყეობს ენსა და ინს შუა, ჩვენ უნდა მოველოდეთ ზოგიერთ შემთხვევას რჯიანი სახელების ენის საშუალებით გადმოცემისა. ასეთ შემთხვევებს უნდა წარმოადგენდენ: იოანე 'Ιωαννης, voc. 'Ιωανης), მანასე (Μανασης), მოსე (Μωσης voc. Μωσης, ჰეროდე 'Ηρωδης, voc. 'Ηρωδη). ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ ეს სწორედ ის საკუთარი სახელებია, რომლებიც შეთვისებულია ქართულში, ყოველ შემთხვევაში. არა უგვიანეს იმ პერიოდისა, როდესაც ქართულში შემოვიდა სიტყვები: ეკლესია, მონასტერი, კვრიაყე, ეპისტოლე (შდ. ზემოთ გვ. 68-69).

§ 40. გ) -ა ბოლოკიდურიანი სახელები (ბერძნული -რჯ).

ამ შენახვევაშიაც გვაქვს ჩვენ ორნაირი ფორმა: სანიანი (ნომინატიური) და უსანო.

1) გეტას, ეპიმინოდას, ვუდდას, ლალეას;

2) აკვლა, ანანია, ანაქსალორა, ანტიპა (155,18). აღრიპპა, ელია (Αλιζα), ვალა, თევდა, თომა, იულა, კლეობა (234,9), კოსტა || კონსტა, ლუკა, შატთია, ნერტა, პიჯალორა, ლალვა.

უსანო ფორმების -ა ბოლოკიდურის წარმოშობის გამორკვევა იმ მხრივ წარმოადგენს სიჭნელეს, რომ

1) -აქზე დაბოლოებული სახელები ბერძნულში იძლევა ანიან ვოკატივს და შესაძლებელია ქართულში ისინი ამ ფორმით იყოს შეთვისებული, რით უმეტეს რომ ამ კატეგორიაში არის ისეთი სახელები, რომლებიც დიდ ხმარებაში იქნებოდნენ ქრისტიანობის გავრცელების პირველი ხანებიდანვე (მაგ., თომა, ლუკა);

2) მეორეს მხრით ანი შეიძლება წარმოადგენდეს აქ -აჰ ბოლოციდურის ნაშთს, როგორც ზემოთ (§ 38) განხილულ -ჟიან სახელებში ინი.

ჩვენ შეგვიძლია მდგომარეობა ისე წარმოვიდგინოთ, რომ ამ სახელებიდან ზოგიერთი შეთვისებული იყოს ვოკატივის ფორმით (მაგ., ლუკა, თომა, ხოლო, რადგან იგივე ვოკატივის ფორმა ბერძნულ სუფთა ძირს იძლეოდა, ყველა დანარჩენი სახელისათვის სახელმძღვანელო ფორმად იღებდა ქართველი ბერძნულ სრულ ფორმას სიგმის მოშორებით<sup>1</sup>.

ამრიგად, ხენომოყვანილი მამაკაცთასახელების ჯგუფების განხილვა ჩვენ გვაწუშნებს იმაში, რომ

1. ბერძნული (და აგრეთვე ბერძნულის გზით რომაული) მამაკაცთასახელები ქართულში გადმოცემულია ორნაირად: სრული ბერძნული ნომინატივის ფორმით და შეკვეცილად;

2. შეკვეცილი ფორმების ორი დიდი ჯგუფი ენიანი (ბერძნული -იჰ) და ინიანი (ბერძნული -იჰ) წარმოშობილია ბერძნული ვოკატივის ნიადაგზე; ამნაირი ფორმები შეიძლება შეთვისებული იყოს ქართულში თავდაპირველად მხოლოდ ზეპირად, ბერძნებთან პირადი ურთიერთობის დროს, და შემდეგ ტრადიციად დამკვიდრებულ იყოს ის მწერლობაშიაც;

3. შეკვეცილი ფორმების დანარჩენი ჯგუფები შეიძლება შეთვისებული იყოს როგორც მწიგნობრულად, ისე ზეპირად: მეტად გავრცელებული -იჰიანი (ხალხურად -იჰიანი) სახელების გადმოცემა იმის საშუალებით ჰქმნიდა აღმქმელისათვის საფუძველს იმისათვის, რომ საკუთარი სახელის ფორმა ბერძნული ნომინატიური სიგმის მოცილებით ეწარმოებინა საზოგადოდ, და არა მარტო -იჰიანში, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც უეიგმო ფორმა ამავე დროს ვოკატივის წარმოადგენდა.

<sup>1</sup>) აქ მხედველობაში გვაქვს მარტივი წარმოდგენა მწიგნობრისა, რომლის გაგებით ძირის მისაღებად საკუთრივ იქნებოდა მხოლოდ სიგმის მოცილება, რომ მას აბით საფუძველი შეეკნა ქართული ფორმის საწარმოებლად.

## ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

### ავტორთა საძიებელი

- აბულაძე ი. 68.  
 აბაშანი ალექსანდრიელი 33, 34, 35.  
 ალლაკიუსი 17.  
 არსენი 11, 43.  
 ასილი დიდი 33, 35.  
 სკნეშევიჩი 73, 76, 82.  
 ბლასი 86.  
 სოკელმანი 58, 75.  
 პრუგმანი 71, 72, 74, 77.  
 ბუაჩაკი 68.  
 გელასი კესარიელი 10, 21.  
 გლაზი 10, 21.  
 გრიგოლ ნაზიანზელი 34.  
 დე ბოორი 24, 36, 37.  
 დემოკრიტე 26.  
 დიონისი არეოპაგელი 33, 35.  
 დიტერიხი 68, 69, 70, 71, 79, 80, 82.  
 დიუ კანეი 79.  
 ეესევი 34.  
 ეურემ მცირე 37, 38, 90, 91.  
 ზოლმსენი 87.  
 ზომმერი 89.  
 თაყაიშვილი ე. 90, 91.  
 თეოდორიტე 26, 32, 35, 45.  
 თუმბი 59, 68, 69, 71, 72, 74, 75, 77, 78, 82.  
 ისიდორე პელუსიელი 34, 35.  
 ისტრინი ვ. მ. 10.  
 კეპელიძე კ. 10, 11, 70, 73, 76, 77, 85.  
 კლიმი რომაელი 41.  
 კრუმბახერი 17, 75, 76.  
 კრუმი 89.  
 ლეფებუკი 89.  
 ლიკმანი 44.  
 ლოგოთეტი 36.  
 მალალა 51.  
 მარონ ნ. 29, 67, 68, 76, 82, 83, 86, 87, 92, 94.  
 მსერიანცი 83.  
 მურალტი 11, 17, 36.  
 მიულლერსი 59.  
 ნემესიოსი 73, 77, 81.  
 ნინოშვილი 67.  
 ნონე 35.  
 ოქროპირი, იოანე 33, 35.  
 პლატონი 35.  
 პრაიზიგე 88, 89.  
 ყორდანია თ. 23, 37.  
 რუფინუსი 21.  
 საბა (ორბ.) 21, 62, 63.  
 სვიდა 79.  
 ფასმერი 59, 68, 79.  
 ფირეკი 88.  
 ფოლლერსი 59, 78.  
 ფრენკელი 87.  
 ფსალტესი 68, 71, 75.  
 შანიძე აკ. 70, 81.  
 შესტაკოვი 18.  
 ჩუბინაშვილი 68.  
 ციმმერი 87, 88.  
 წერეთელი გრ. 20.  
 ხაშიდაკი 69, 71, 73, 75, 79, 80, 88, 90, 91, 96.  
 ჯავახიშვილი იე., 37, 65, 68, 70, 76, 81, 83.

ჯანაშვილი მ. 67, 76, 77.  
პირტი 71.  
პირში 9, 17.  
პიუფშმანი 59.

### ნიტყვათა საძიებელი

#### ქ ა რ თ უ ლ ი

აბოკროფა 70.  
აია სოფია 75.  
ანდლოში 78.  
აეურა 70, 76.  
არისტოტელი 96.  
ალიაზმა 75.  
ბურლო 70, 71.  
გრიგოლი 93--94.  
ევტუქი 70.  
ეკლესია 68, 96.  
ენიოხი 63.  
ეპისტოლე 69, 96.  
იეოლოჯია 76.  
იესუ 86, 89.  
იენისი 79.  
იოანე 96.  
იულის (საკ. სახ.) 91, 95  
იულისი (თვე) 79, 95.  
იქედნე 68, 96.  
კათაკუმეველი 69.  
კანდელი 68.  
კეისარი 71—72.  
კერეონი 68.  
კეროვანი 68.  
კესარი 71.  
კვლელდია 75.  
კორნელი. კორნილიოს 91--92.  
კრასოველი 68.  
კუერეჟსი 68.  
კვრიაკე 69, 80, 96.  
ლაკანი 80.  
ლამპარი 82.  
მანასე 96.  
მონასტერი 68, 96.  
მოსე 86, 96.

ნუნ 70.  
პაზიონი 68.  
პალატი 80.  
პანაშვილი, პანაშვიტი 78.  
პანიჯური 70, 76.  
პინაკი 82.  
პორფირი 80.  
პოტირიტი 21.  
პოტირიტისი 68, 69, 80.  
პროშერი 78.  
პური 71.  
სოკრატ 96.  
სოლინარი 80.  
სეიქონი 81.  
სტრატელატი 68.  
სეემი, სქემა 68.  
ტაზიონი 68.  
ტილისმი 68.  
ტრაპეზი 80.  
ულუმბო 70.  
ფესოს 70, 71.  
ფინიკი 71.  
ფსალმონი 67.  
ქრისტე 89.  
წერუს 71, 78.  
-ცა 22.  
ჯერაკუმია 76.  
ჯერასიმე 76.  
ჯონელი 76.  
ჭეროდე 86, 96.

#### ს ე ა ნ უ რ ე

სტარუნ 81.

#### ს ო მ ხ უ რ ი

არქი- 76.  
ალარიკონ 75.  
დილოლოს 75.  
დიოვენ 76.  
ერეც 59.  
გონგელ 74.  
გრამარტიკოს 74.  
კაისრ 71.

კესარ 71.  
ლილატ 75.  
მანისტროს 76.  
ტპაზონ 68.  
შლოროს 78.

ლ ა თ ი ნ უ რ ი

Jupiter 87.  
Leli 89.  
locus 21.  
Silvane 89.

ბ ე რ ძ ხ უ ლ ი

Πάνυς 76.

ყუაჩაჲ 76.  
Μέντιχία 70.  
მეგრ 20.  
კაი 21.  
λαχίνη 68.  
პაქსი 68.  
პაქოჲ 22.  
\*პოთერეტიჲ 68.  
პორ 20.  
პურს 20, 71.  
σάμπαχον 22.  
სიპაქსი 68.  
სიპოთერეტიჲ 68.  
ჯორჯ 20.

